

სახელთათ
განმარტველი

სხეული
თხეულეძანი
თხეულე


2

სახელმწიფო გამოქვედლობა
„სახელოთა სხეულეძანი“
თბილისი
1960

სახელთათ
განმარტველი

ფოძი
I
ხეულეძანი
2

სახელმწიფო გამოქვედლობა
„სახელოთა სხეულეძანი“
თბილისი
1960



ჩახნა და
სახნა

ლოქინა
სამკვლელოს ცხოვლებიან
5 მოქმედებარ

კუძღვნი ახდრო შარუხიას
ხსენას, ვინც შიამბო მე ეს ლეგენდა
ავტორი

მოქმედი პირნი:

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ბრწყინვალე დარბაზი

დედოფლის მობრძანებას ელოდებიან. საზვიამო სიმღელით დედოფალ მაიას ტახ-
ქვე მოაცილებს ამაღა.

დედოფალი მაია — ახალგაზრდა ქვერავი
ოტია ჩიქოვანი — დედოფლის ბიძა, მსაჯულთა კრებულის თავმჯდომარე
ვაიოზ ბეღია — კარის უფროსი
ჯარნა ჩარგაზია — სარდალი, ყოფილი მამულეტი
ასანდა — შეღას ასული, ჯარნას დანიშნული, სეფექალი
ფელი — აბაშიძის ასული, ვაიოზის მკურნალი, სეფექალი
მამია კორძაია — ციხის უფროსი
ჯოღოლი }
დედოფალ მარლანია } მხარეები, ჯარნას მგობრები
დესი }
ესმა } სეფექალები
ბასაია, მათე,
ბადუკა,
ბიჭინა, მამფორია, ციკვია, მოურავი, შიკრიკი, დედაკაცი, აჯანყებულნი
გლეხები, დედოფლის ამაღა, კარის მცველები და სხვა.

მოქმედება XVII — XVIII საუკუნეში.

დედოფალი — ბრძანე, ოტია!
ოტია — შიკრიკი გეახლათ!
ჩვენი სარდალი — ჯარნა ჩარგაზია —
საამო ამბავს გვატყობინებს!
მტრის დამარცხებას!
დედოფალი — ბიძაჩემო! როგორც ამბობენ.
გუშინ მოსულა ეგ შიკრიკი!
ოტია — მაგრამ მე, როგორც მსაჯულთ უხუცესს, დილას
მაცნობებს!
დედოფალი — რატომ უმაღვე არ გაცნობებს?
ოტია — მაგ საქმეს ჩვენი პატივცემული
ვაიოზ ბეღია განაგებს!
ვაიოზი — ნუ გამიწყობები, დედოფალო!
მართალი არის, შიკრიკმა გუშინ შემატყობინა.
მაგრამ მარჯვე დრო დღეს გამოვანახე!
არ მსურდა თქვენი მყუდროება მე დამერღვია!
დედოფალი — დიდად მაკვირვებ! სასიხარულო ამბავი, —
ჩვენი ჯარის გამარჯვება
მე მყუდროებას დამირღვევდა?
რატომ არ მირღვევს მყუდროებას.
როცა შენ აუგს მომახსენებ ჩარგაზიაზე?
ვაიოზი — ბოდიშს მოვიხდი, დედოფალო!
მე მოვალე ვარ ყველაფერი გაცნობო ისე.
როგორც მე ამას მიკარნახებს ზრუნვა ქვეყნისა.
დედოფალი — მადლობელი ვარ მე მაგნაირ სამსახურისთვის!
მაგრამ შემდეგი ზრუნვის საგანი?

გ ა ი ო ზ ი — დღეს ჩარგაზიას შესახვედრად მზად არის მთელი ჩვენი სასახლე...

გალაენიდან ამ დარბაზამდე

გზა ხალიჩებით დაფენილია!

ხალხი შეხვდება დიდი ზემით!

ტაძრებზე ზარებს დარეკავენ პატივსაცემად.

ნადიმს გადუხხდი მეფის შესაფერს,

და დამეს ისე ავაჩიაროდნებ,

რომ მზის ამოსვლა ვერც შევამჩნიოთ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (ნასიამოვნებით)

მოსაწონია!

(სეფე ქალებს)

ჩვენც მოვემზადნეთ შესახვედრად, ქალიშვილებო!

(მიმავალი შეჩერდება ოტიას წინაშე)

ბიძაჩემო!

შენ, ოტია ჩიქოვანი, სახლთუხუცესი.

იმ ხმაღს მიატმევე,

რომელზეც გუშინ გელაპარაკე!

ო ტ ი ა — დედოფალო! ის ხმალი ხომ...

ის ეკუთვნის ნეტარხსენებულს!

კარდაცვალებულს!.. სამეგრელოს მთავარს...

ის სამეგრელოს საუნჯე არის!

მთავარი უნდა ატარებდეს და სხვა — არავინ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — თუ საუნჯეა,

მართლაც ეკუთვნის თავდადებულს ჩვენი ქვეყნისთვის

მე მსურს!.. ის ხმალი შენ მას გადასცე

ერის სახელით! ჩიქოვანმა!

ო ტ ი ა — დედოფალო! ასრულდეს ნება თქვენი!

(ყველანი გავიდნენ. დარჩნენ ოტია და გაიოზი)

გ ა ი ო ზ ი — (გამკილავად იცინის).

ო ტ ი ა — რა ნახე სასაცილო?

გ ა ი ო ზ ი — შენ, ჩიქოვანმა, ნათესაგმა დიდი მთავრების,

უნდა მიატოვა ჩარგაზიას — ვილაცა მარგალს!

ო ტ ი ა — თუკი სურს ასე ჩვენს დედოფალს?!

გ ა ი ო ზ ი — დიდი ხანია გეუბნები, რომ ჩვენს მაიას,

ამ ჩვენს დედოფალს... ჩვენს ახალგაზრდას... კობწია ქვრივს

გულში ჰყავს... დიახ!

(ყურში)

ქვრივს უყვარს ჯარნა! ვილაც ყოფილი მამულუქი!

ო ტ ი ა — (ეწყინა)

ალარ გაბედო! მას პატივს სცემს — თავდადებულს...

გ ა ი ო ზ ი — როცა გირჩევდი:

არ გააკარო ჩარგაზია დედოფალს ახლოს.

თორემ ის მის გულს მოინადირებს,

ყველაფერს ხელში ჩაიგდებს-მეთქი! — არ გამიგონე!

შენი ბრალია, რომ დედოფალს დაუახლოვდა!

სარდლად დანიშნა ვილაც ნათრევი ეგვიპტეში, ვილაცა გლები!

შენი ბრალია,

რომ მას ოსმალთა წინააღმდეგ ლაშქრობა ანდო!

მან გაიმარჯვა, და ამის გამო

დედოფლის გულში მოიპოვა პატივისცემა!

და — ერთი სიტყვით — მოინადირა!

(გამკილავად იცინის)

ლამაზი და ტანადი ჯარნა — გულში ტრფიალის ამგზნებებიც არის!

ო ტ ი ა — ბევრს ლაპარაკობ შეუფერებელს!

მან გაიმარჯვა, რადგან ჭკვიანი სარდალია.

მან იცის ომის ოსტატობა და გულადია!

ის რომ არ იყოს ჭკვიანი და მოხერხებული.

განა გაყიდულს და ტყვეს სარდლად

ამოირჩევდნენ იქ, ეგვიპტეში?

ახლა სამშობლოს დაუბრუნდა და აქაც იგი

პირველი არის!

გ ა ი ო ზ ი — ვხედავ! ვხედავ! პირველი არის!

განა აფხაზი ემუხვარი ნაკლები იყო?

ო ტ ი ა — ის შერვაშიძის კაცი იყო, აფხაზთა მთავრის.

რომელმაც ქრისტეს უღალატა

და დედოფალი არ ენდობოდა!

და ვინც ემხრობა შერვაშიძეს,

სულთანის მონას, — შეიძლება ჯარი მიანდო?

გ ა ი ო ზ ი — რად არ ინებე, ჯარის სარდლად მე ვყოფილიყავ?

ო ტ ი ა — შენ? არც შენ იყავ დარწმუნებული,

რომ ჩვენ სულთანის მონობიდან თავს დავადწევდით!

და ვინც არ არის დარწმუნებული, —

ვერც გაიმარჯვებს!

გ ა ი ო ზ ი — (ნაწყინი) ბოდიში!

მამ ჩარგაზია ერთადერთია!
გული დავიმშვიდოთ! ზეიმით შევხვდეთ!

(შემოდის ასანდა)

ასანდა — ბატონ ოტიას სთხოვს დედოფალი!

(ოტია გადის, ასანდაც წასვლას აპირებს)

გაიოზი — ასულო, მშვენიერო!

ასანდა — მე მიბრძანებთ?

გაიოზი — მამ სხვა ეინ არის მშვენიერი, ჩემო ასანდა.

თუ არა თქვენ, შელიას ასული?

ასანდა — რით შემიძლია გემსახუროთ?

გაიოზი — თქვენთვის მარად კეთილისმყოფელი.

მიბრძანეთ მე და გემსახურებით!

გამარჯვებული გვიბრუნდება ჯარნა ჩარგაზია!

ასანდა — სასიხარულო ამბავი არის!

გაიოზი — თქვენთვის, თუ სხვისთვის?

ასანდა — სამეგრელოსთვის!

გაიოზი — ცხადია, მაგრამ...

დედოფალს უფრო მეტად ახარებს

არათუ მარტო გამარჯვება, — თვით დაბრუნებაც!

მოახლოება და ნახვა მისი!

აღბათ, თქვენ უკეთ შეამჩნევდით...

ასანდა — რას შევამჩნევდი?

გაიოზი — ისედაც ვიცი!

მაგრამ მე მინდა შევამოწმო...

ასანდა — ბატონო ზედია!

მაგ შემოწმებით ნუ შეწუხდებით!

არც არის ჩემთვის საყურადღებო!

გაიოზი — ნუ გამიწყობენ...

მე ვიცი თქვენი საიდუმლო, ჩემო ასანდა!

ასანდა — არც ეგ არის საყურადღებო!

გაიოზი — შეიძლება... მაგრამ, ძვირფასო...

თქვენს მშობლებს როგორ უსამართლოდ მოექცნენ ადრე...

ო, ის საწყალი მამათქვენი — ვამეხ შელია!

დიახ, ის უნდა ყოფილიყო ჩვენი მთავარი!

მაგრამ ის მოჰკლა სატანჯიოში განსვენებულმა...

— ღმერთმა შეუნდოს —

ამიტომ არის. მაია ცდილობს გული მოგიგოთ,

გამოისყიდოს თავისი ქმრის დანაშაული!

დღეს თქვენ დედოფლის სეფე ქალი ხართ!

მაგრამ ვაი, რომ დედოფალი მეტოქედ რჩება!

ასანდა — რაო? რა ბრძანეთ?

გაიოზი — არაფერი, ჩემო კარგო, სულ არაფერი!

ასანდა — ნუ შეიწუხებთ თავს ნურც ჩემთვის,
ნურც მშობლებსთვის!

(მკაცრად)

ახლავ გამშორდით, თორემ ვიყვირებ,

რომ თქვენ ცილს სწამებთ დედოფალსაც. მის მეუღლესაც!

თითქოს მათ მოჰკლეს მამაჩემი!

გაიოზი — დიდი ბოდიში, მშვენიერო, დიდი ბოდიში!

ეს ისე მხოლოდ... მე თქვენთვის ვზრუნავ და მებრალებით!

მე საქმე მქონდა მეციხოვნესთან... მასთან მივდივარ...

მაპატიეთ თუ გაწყენინეთ!

ასანდა — მამ, მიბრძანდით მეციხოვნესთან! (გაიოზი გადის)

ო, გაიძვერა და მლიქვნელი!

უნდოდა, ჩემი საიდუმლო ამოეკრიფა!

მან ეჭვით იცის, ჩარგაზია ჩემი საქმროა!

ცოლი ეტყოდა, მსგავსი ცბიერი!

აგერ, ვახსენე ანგელოზი, კიდევ გამოჩნდა! (განგებ ალერსით)

ნეტავი საით მიეშურები, ძვირფასო თელი?

თელი — ასანდა!

როგორ გიღიმის ნათელი სახე!

ასანდა — აღბათ, ეს ჩემი ახალგაზრდობის ბრალი იქნება!

შენ კი, მუდამ დაღვრემილი ხარ! აღბათ, მიზეზი...

ხანდაზმულობა უნდა იყოს...

თელი — (ეწინა)

როგორ? შენ...

ახალგაზრდა ხარ, სხვა კი — მოხუცი?

ასანდა — მამ ხელს რა გიშლის? იმხიარულე!

შენი მეუღლე, გაიოზ ბედია.

სახელოვანი კაცი არის —

და ისეთი სახელოვანი,

რომ დასტრიალებს მხოლოდ დარაჯებს.

როგორც ფხიზელი მზარეული,

მზარეული თავის ჯამჭურჭლის! (იცინის).

თ ე ლ ი — შენ, შელიას „ტურფა ასულო!“

რას ნიშნავს ეგრე ლაპარაკი?

მზარეული ორჯერ ახსენე... ვინ? ჩემი ქმარი? (გულის სატყენი)

შენ, ალბათ, ეძებ დიდი მთავრის მეუღლეობას!

შელიას ტურფა ქალიშვილო,

წყალობის თვალით ჩარგაზია თუ გადმოგხედავს,

უთუოდ მისი შემწეობით ტახტს დაიმკვიდრებ! (ირონია)

ა ს ა ნ დ ა — შენი ნათქვამი, რომ ასრულდეს, მაშინ რას იზამ?

დარდისგან ავად თუ გახდები, წამალს გასწავლი!

თ ე ლ ი — ოხ, ვერ ავიტან!

ა ს ა ნ დ ა — თუ შენს მეუღლეს გინდა შეხვდე, იქით წავიდა!

მეციხოვნესთან მოიკითხე,

— სხვაგან სად წავა? —

თ ე ლ ი — (ზიზლით)

ამ სასახლეში ჩემთვის უცნობი არაფერია.

რომ გზა უშენოდ ვერ გავიკვლიო!

ა ს ა ნ დ ა — (გულის მოსაკლავად)

ვიცი, არა ხარ ოკრიბელი.

და ისიც ვიცი.

რომ აბაშიძის ასულს ყნოსვა გაქვს სანაქებო!

(გაღის)

თ ე ლ ი — ერთი უცქირო! დედა! დედა! როგორ სისინებს!

უთუოდ მაგის მეოხებით დაკმობილ ვიქმენ!

დიახ, მე უნდა ვყოფილიყავ ჯარნას მეუღლე!

როგორ ავიტან ამ დამცირებას?

გ ა ი ო ზ ი — (შემოდის)

რომელ ეშმაკებს ესაუბრებ?

თ ე ლ ი — მზარეული ხარ? მზარეული!?

გ ა ი ო ზ ი — ხომ არ გავიჟდი?

თ ე ლ ი — მან შეგაღარა! მან! მან! მომკალით!

აბაშიძის გვარი დამიგმო!

გ ა ი ო ზ ი — რამდენჯერ მითქვამს: თუ საწყენი სიტყვა გაიგო,

არ შეიმჩნიო, თორემ მაგით მტერს გაახარებ!

წადი ახლავე დედოფალთან!

ზეიმს დავიწყებთ!

თ ე ლ ი — მართლაც ვინ არის ჩარგაზია?

შენს თავს იმცირებ —

ასიამოვნე აღზევებულ გლეხს!

გ ა ი ო ზ ი — ახლავ გლეხი? წინათ, ვგონებ... ორი წლის წინათ?..

მისთანა, ვგონებ, მეფეც არ იყო...

გწყინს გახსენება? კარგი! დამშვიდდი!

მე ისერივად მოვაწყე საქმე, რომ ჩაშხამდება!

აი, შენ ნახავ! წადი დედოფალთან!

და ვინც მზარეულს შემადარა, იმასაც ვნახავ...

წადი!

თ ე ლ ი — არა, ჯერ მითხარ... მინდა ვიცოდე...

ისე არავის გაუხარდება, ოღონდ დამცირდეს.

გ ა ი ო ზ ი — მას თავადები შეაჩერებენ, —

ჩვენი ფაღვა მოლლის საუბრით!

ხოლო დედოფალს ალოდინებს... ეს კი რას ნიშნავს,

რომ ის დედოფალს არაფრად აგდებს!..

(ატყდება ზარების რეკა)

წადი! წადი!

გესმის, დარეკეს!

წადი დედოფალთან!

თ ე ლ ი — მე სად წავიდე, თვით მობრძანდება!

(შემოდის დედოფალი. მოსდევნენ: ოტია და ამალა)

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (გახარებული)

ზარებით გვამცნობენ!

ჯარნა ჩარგაზია უკვე ახლოა..

თ ე ლ ი — დიახ, მობრძანდება!

გმირი საამაყო — ჯარნა ჩარგაზია!

რა დღეს შევესწარ!... — უნეტარეს ბედნიერებას!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — დიდად მახარებ, ჩემო თელი, მოლხენილი ხარ!

მახარებს დიდად შენი მეუღლეც,

რომ ეს შეხვედრა კარგად მოაწყო!

მაშ მალე მოვა?!

გ ა ი ო ზ ი — მალე, დედოფალო!

ალბათ, თვითონაც მოისწრაფის...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჩვენი ქვეყანა არ მოსწრებია

უფრო უკეთეს ბედნიერებას!

ო ტ ი ა — მახსოვს, ვიყავით უბედურ დღეში.

როდესაც მტერმა, გააფთრებულმა,

მოსრა ყულევი და ანაკლია!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — დღეს სამუდამოდ განთავისუფლდა!

თუ გაიხსენებ, ვინ გვირჩევდა დამორჩილებას?

(გაიოზს უცქერის)

გაიოზ, გახსოვს?

გაიოზი — ბოდიშს მოვიხდი, დედოფალო!

მე ვიყავ მხოლოდ დაეჭვებული,

რომ საქმე გვექონდა ძლიერ სულთანთან!

დედოფალი — მაშასადამე, ჩვენ შეგვეძლება, რომ მოძალადეს

ქვეყნის დამპყრობელს, პასუხი გავცეთ!!

(დედოფალი დედას)

ჩემთან ხლებას რად აგვიანებს?

თელი — ო, დედოფალო, დიდი კაცია!

ალბათ, ინებებს, როცა თვითონ მოესურვება!

თუმცა მან იცის, ელოდება მას დედოფალი!

დედოფალი — როდესაც გინდა მალე შეხვდე, ლოდინს ვერ იტან

მოუთმენლობა წუთებს ითვლის...

გაიოზი — სხვა მას ელოდოს, ახლა მისთვის არაფერია!

(სარკმელში იცქირება)

ერთი უცქირეთ!

არა, ამას კი არ მოველოდი!

ჩვენ ველოდებით, ის კი საუბრობს ვიგინდარებთან!

თელი — ნუთუ მართლა? უი, ჩემს თვალებს!

ეს ხომ ჩვენი დამცირებაა...

გაიოზი — არავითარი!

ვისაც აფასებს... ვინც მას მოსწონს... მასთან საუბრობს!

თელი — ყბედი ფაღავა მოსწონს... აფასებს...

ჩვენ გვალოდინებს?..

დედოფალი — მიტომ აყოვნებს?

გაიოზი — ნუ გეწყინება, დედოფალო!

თელი — იქნებ არც იცის,

კარის ზრდილობა! აპატიეთ!

იგი დაბალი წრიდან არის... ის ხომ გლახია...

დედოფალი — (ნაწყენი, თავშეკავებული) — ძვირფასო თელი!

მის ზრდილობას ერთხელ აქებდი,

როცა არ იყავ გათხოვილი...

მისი დაბალი წოდებაც, მახსოვს, დიდად მოგწონდა!

(ასანდამ ჩაიციანა თელი ვაწითლდა და ასანდას ვამანადგურებელი
თვალთ შეხედა)

არ მწყინს სრულებით.

რა მოხდა განა?

იქნებ რაიმე დავალებას მეომრებს აძლევს?

სანდა — დიახ, რაიმე დავალებას...

ქვეყნისთვის ზრუნვა მთავარია!

გაიოზი — არა!..

შერისხულ აზნაურებს ესაუბრება!

აი, რას ნიშნავს გამარჯვება! თავბრუ ესხმება!

მცირე და დიდი — ყველა მისთვის გასართობია!

და, ალბათ, ფიქრობს, ტოლი არა ჰყავს!

დედოფალი — შეუძლებელია!

გაიოზი — თურმე ყოფილა შესაძლებელი!

სანდა — ბატონო გაიოზ. თქვენი მსჯელობა იმას გვაგონებს,

თუ მის ადგილას თქვენ იქნებოდით.

ნაქებ ზრდილობას უკუაგდებდით

და ტოლიც არვინ გეყოლებოდით!

(ბედია გაწვილდა)

დედოფალი — (შემობრბის)

დედოფალო! ჩემს ბატონს ჩარგაზიას ზრდილობა წინ გადაე-

ლობა და აქეთ აღარ უშვებს! ვერ დააღწია თავი ფაღავას!

ესაუბრება! ესაუბრება! და სულ ესაუბრება!

ძარღანია — (შემობრბის)

გვიშველეთ რაიმე! ფაღავა! ფაღავა!

ლაპარაკობს და მის ლაპარაკს არ უჩანს ბოლო! თუმცა, აგერ!

მადლობა ღმერთს, თავი დაუღწევია!

(მეომრებს შემოაქვთ ნადავლი დროშები და დედოფალს ფეხთ წინ დაუ-
ყრიან. შემოდის ჩარგაზია)

ჯარნა — ჩვენმა მახვილმა, ძლევა მოსილმა, დაამხო მტერი!

თავისუფალია: ჭალადიდი, ნაბადა, ყულევი და ანაკლია!

მარად ნეტარედეს დედოფალი მათა და მისი ერთგული ხალხი!

დედოფალი — ამაცობს შენი ვაჟკაცობით ჩვენი ქვეყანა!

მიიღე ჩემგან, დედოფლისგან, დიდი მადლობა.

და მცირე ჯილდო...

(ხელს გაუწვდის. ჯარნა ეამბორება)

ოტია — (მიაქვს ხმალი)

აი, ეს ხმალი!

ბამულის მოაძაგეს და ხალხის სიამაყეს
უძღვნება ხმალი საგვარეულო!..

შეიბი და გამშვენებდეს სახელით დამშვენებულს!

ყველანი — ხარობდეს ჩვენი გამხარებელი!

ხარობდეს მარად მტერთა მძლეველი!

ჯარნა — დღეს ჩემზე უფრო ბედნიერი არავინ არის!

გაიოზი — (თავისთვის)

ეს პატივი ჩემი ხვედრი უნდა ყოფილიყო!

ჯარნა — მადლობას ვწირავ დედოფალს და ქვეყნის უხუცესთ!

გაიოზი — (მოლხენილი)

ახლა კი გვმართებს სუფრაზე ღვინო!

გთხოვთ, ბატონებო, ახლა ნადიმზე.

დედოფალი — დიახ! ნადიმზე... თქვენ მიბრძანდით... ჩვენს
გიახლებით.

დღეს მასპინძელი გაიოზია! მიბრძანდით, მოვალ!

ჩვენ ერთად მოვალთ!

(ყველანი გადიან. დარჩენენ დედოფალი და ჯარნა)

დედოფალი — შენგან დიდად ვარ დავალებული!

შენ ასახელე ჩემი ტახტი და დედოფლობა!

ვინც მოწყალებას მოელოდა ოსმალეთიდან,

გარიყულია!

ვერძნობ სიამაყეს, რომ შენ გამოჩნდი!

ო, არა მართო სიამაყეს!.. მთელი არსებით...

და ნეტარებით... აღსავსე გულით...

ჰო, იმას ვამბობ: გული გენდობა!

მოსიყვარულე ჩემი გული... რომ მე ჯერ კიდევ...

საზრუნავი მაქვს...

შემდეგ გეტყობი... ვარჩევ კი გითხრა...

მსურს კიდევ ერთი დავალება შენ შემისრულო!

ჯარნა — სიცოცხლეს დავთმობ და შევიძლებ მის შესრულებას!

დედოფალი — დიახ, მიჩვენებ, რომ სულთანი ყოფილიყო
ჩვენი მფარველი,

მაგრამ შენ მოგანდე და მის მტარვალობას სამუდამოდ ბოლო
მოეღო!

მაგრამ კიდევ არიან სამეგრელოს

შინაური მტრები,

რომლებმაც თავი შეაფარეს აფხაზეთის

მთავარს შერვაშიძეს — გამაჰმადიანებულს!

ეს შინაური მტრები,
ნათ შორის მოხუცი შელია, ასანდას ბიძა —

აფხაზეთიდან მოქმედებენ,

რომ ტახტი წამართვან

და ისევ სულთანის მფარველობა მიიღონ.

ესენი ყველგან გზავნიან კაცებს.

იმერეთის საზღვრებთან ჩემი ქვეშევრდომნი ამიჯანყეს.

- ასე მომახსენებს გაიოზ ბეღია - -

შენ წახედალ იქ საქმის მოსაგვარებლად

და თუ საჭიროდ დაინახო, -- იხმარე იარაღი!

ჯარნა -- მიბრძანე, მზად ვარ!

კეცელში ჩავდგები თქვენი გულიათვის.

მხოლოდ გახსოვდეთ თქვენი პირობა.

როცა თავს ვაღებ სულთანთან ბრძოლა.

ოდესღაც იყო საქართველო ერთი მთლიანი

და დღესაც უნდა ასე იყოს -- ასეც იქნება.

მაგრამ თვით ესეც, მოზღვავებულ მტერთა წინაშე,

ჩვენს მკვიდრ მომავალს და სუკეთეს ვერ ყოფს უზრუნველს.

ამიტომ არის ქართლის მეფე წინ იმზირება

და ეძებს სანდო მოკავშირეს და სანდო მფარველს.

ეს გახლავს დიდი ქვეყნის მეფე, მეფე რუსეთის.

მაშინ გვექნება ერთი ზრუნვა განუყოფელი.

გვექნება ერთი და საერთო ძალის სიმტკიცე.

იარაღმორტყმული მტერი მაშინ ვერას დაგვაკლებს.

რადგან რუსეთი გვეყოლება ძლიერ მფარველად.

დედოფალი -- ოტიაც მაგას მირჩევს მუდამ... მაგ საქმეს
განდობ...

ჯარნა -- არ უნდა იყოს სამეგრელო გამოთიშული

ჩვენი საერთო სამშობლოდან -- საქართველოდან!

დედოფალი -- კვლავ გიდასტურებ...

ჩემი ერთგული მეგობარი შენ უნდა იყო!

და იმოქმედე... სრულად გენდობი, სრულად! სრულად!

აი, ეგ ხმალი ერმა მოგიძღვნა,

ეს კი -- პირადად ჩემგან მიიღე!

(ბეჭედს აძლევს)

ამ სანეტარო, ბედნიერ დღის მოსაგონებლად!

ერთიც იცოდე!

და თუ ოდესმე შენს წინააღმდეგ ცუდი იზრახეს.

ეს გამახსენე
და მე ვიქნები შენა მფარველი!
ჯ არ ნ ა — როცა გონიერს, სათნო დედოფალს ვემსახურები,
ეს არის ჩემთვის სამსახური ჩემი ქვეყნისთვის.
ჯ ო ღ ო ლ ი — (სწრაფად შემოღის)
ბოდიში! ბოდიში!
თქვენ არა, არა, დედოფალო! ბატონ ჯარნას დავეძებ,
ნადიმი გვიანდება, ხოლო ნამგზავრს შიმშილი აწუხებს.
ჯ არ ნ ა — ეგ გახლავთ აფხაზი, ჩემი ერთგული მეგობარი!
დ ე დ ო ფ ა ლ ი — მოვდივართ, ყმაწვილო!
ჩვენს სახელოვანს მე მივაცილებ!

(ჯარნას მიაცილებს)

სურათი მორამ

იგივე სცენა

ჯარნა, შემდეგ ასანდა.

ჯ არ ნ ა — მარტო მადლობის გრძნობა არ იყო...
ან ეს ბეჭედი?
თან აყოლებდა მთელს სინაზეს, როცა გადმომცა...
თითქოს რაღაცა სურდა ეთქვა, და ვერ ბედავდა...
ო, ნურც გაბედავს... თუ მას მართლა გულში აქვს რამ,
მე მთელს სიცოცხლეს მას შევწირავ კეთილ საქმეში!
ჩემს ასანდას კი ვერ ვუღალატებ...

(შემოღის ასანდა)

ჩემო ასანდა!
მოსასვენებლად მიბრძანდა დედოფალი?
ა ს ა ნ დ ა — იგი... დიახ...
მაგრამ ჩემს გულს მოსვენება არ ეღიროსება!
ჯ არ ნ ა — მაგას რად ამბობ?
ა ს ა ნ დ ა — არ მაქვს მიზეზი?
ჯ არ ნ ა — მე ვგონებ, არა!
ა ს ა ნ დ ა — მიზეზი შენ ხარ!
ჯ არ ნ ა — მე? როგორ, ჩემო?
ა ს ა ნ დ ა — შენ დაგავიწყდა, რარიგ სცდილობდი.
დაგეპყრო ჩემი გულის გრძნობები.
და, ვიდრე კარგად არ გაგიცან და არ დავრწმუნდი

შენს უანგარო სიყვარულში, ვიდრე მარტვილის
ღვთისმშობლის ხატზე არ შემომფიცე —
ხოლო შემდეგ კი:
გული მოგვც გულისათვის!
ა ს არ ნ ა — ასანდა ჩემო!
ახლა კი აღარ დავაყოვნებ და ვთხოვ დედოფალს,
მან ნება მოგვცეს ქორწინებისა!
ა ს ა ნ დ ა — და რომ არ მოგვცეს მაგის ნება?
ჯ არ ნ ა — რას არ იფიქრებ?!
არ შეიძლება, რომ ეგ მოხდეს, ძვირფასო ჩემო!
ა ს ა ნ დ ა — და რომ გახდეს შეუძლებელი?
ჯ არ ნ ა — რად ეჭვიანობ?
ა ს ა ნ დ ა — გული ცუდს მიგრძნობს...

(ბეჭედს შენიშნავს)

ჯარნა! ბეჭედი! რარიგ ბრწყინავს! ეს როდის გქონდა?
სულთანს წაართვი, თუ მის ხელქვეითს?
მე მისახსოვრე...
ჯ არ ნ ა — არა! ეს, ჩემო, მამაკაცის ბეჭედი არის!
არც შეიძლება ამის ტარება!
ეს უნდა იყოს შენახული — შენ მოგაბარებ!
შენ მეკითხები: დედოფალი რომ არ დათანხმდეს,
რას ვიზამ მაშინ?
მაშინ აქედან... აქედან წავალ.
შენც თან წაგიყვან!
ხალხთან ვიქნები უბრალო მწყემსად...
მაშინ, არ ვიცი, შენ წამომყვები?
ა ს ა ნ დ ა — ო, ყველგან! ყველგან!
მე ეგ მინდოდა შენგან გამეგო!
რაკი ვენდობი შენს სიყვარულს, მაშ მომისმინე.

(გადაწყვეტით)

უარიც გითხრას, ჩვენ აქედან არსად არ წავალთ!
სასახლე... ტახტი... მე მეკუთვინის! დიახ, მარტო მე!
კანონიერი დედოფალი აქ მარტო მე ვარ!
ჯ არ ნ ა — ჩემო ასანდა! აბა, რას ამბობ?
ა ს ა ნ დ ა — მომისმინე!
სამეგრელოს მთავარი იყო მამაჩემი — ვამეხ შელია!

ჰავისმა ქმარმა მოჰკლა ვერაგულ!
მოჰკლეს ჩემი ძმაც! ენგურის ციხეში...
ჯ არ ნ ა — ეგ ხომ მეც ვიცი, ნუ გაიხსენებ!
დედოფალი არ არის დამნაშავე!
ას ა ნ დ ა — მკვლელობაში არ არის დამნაშავე,
მაგრამ მშობლების ტახტს და გვირგვინს ეპატრონება!
ამიტომ უნდა მოვიცილო...
ჯ არ ნ ა — მოიცილო?
ას ა ნ დ ა — ის უნდა მოკვდეს.
ჯ არ ნ ა — ასეთი სათნო პიროვნება
შენ ამბობ მაგას?
ას ა ნ დ ა — ვამბობ და შენი იმედი მაქვს!
ჩემი ბიძა აფხაზეთში გადახვეწილი,
ბეჟან შელია!
ახლა დრო დადგა, დაუკავშირდე!
ჯ არ ნ ა — ჰოო! შენი ბიძა! ბეჟან შელია...
მაშ ის გაქეზებს?
ას ა ნ დ ა — მომხრეებიც ჰყავს!
ჯ არ ნ ა — გულუბრყვილო ხარ! გულუბრყვილო...
და ამიტომაც საყვარელი ჩემო ასანდა!
ასე მეგონა შეგაკრთობდა ფოთლის შრიალი
და შენკი, ხედავ, რა აზრები გასულდგმულებენ!
და რომ შენ აჰყვე იმ შენს ბიძას — ბეჟან შელიას,
სამეგრელოში გაჩადდება შფოთი, სისხლის ღვრა
ხოლო ნაყოფი — არავითარი!
ისიც არ იცი, ძლიერ მეტოქეს — დედოფალ მაიას —
დაამარცხებ, თუ შენ დამარცხდები!
ეგ არ მოუტანს ჩვენს ქვეყანას ბედნიერებას!
და ამის გარდა —
ბიძაშენი, ბეჟან შელია,
საქართველოსთვის არის მეტად საშიში მტერი!
— ნუ გეწყინება, მომისმინე —
ის ქართველებად არ სთვლის მეგრელებს,
თურქეთისაკენ უჭირავს თვალი.
ას ა ნ დ ა — ეგ მე არ ვიცი!
ის იმედს მაძლევს, ის მე მპირდება...
ჯ არ ნ ა — დაპირებას არა აქვს ფასი!
ის მტერი არის შენიც, ჩემიც და ჩვენი ქვეყნის!
ჩვენი ცხოვრების...
ის საქართველოს მტერი არის.

ას ა ნ დ ა — არა! შენ სცდები!
ბიძა იგი და მას ვენდობი!
ჯ არ ნ ა — მე არ მენდობი?
ან შენ გგონია, ის შენთვის ზრუნავს?
არა, ძვირფასო... შენ იმის ხელში... იარაღი ხარ...
გამაგებინე:
შენ ტახტი გინდა, თუ ხალხისთვის ბედნიერება?
ას ა ნ დ ა — ორივე ერთად!
ჯ არ ნ ა — განა ქვეყანას ის წარმართავს საკეთილდღეოდ,
ვინც ისწრაფის ოსმალეთისკენ?
ას ა ნ დ ა — წერილს გიჩვენებ... ბიძაჩემის წერილს გიჩვენებ!

(ასანდა გადის)

ჯ არ ნ ა — მე თითქოს ჯარი მოვიშორე ოსმალეთისა
და საშინელი მტერი თურმე ახლო ყოფილა!
გადახვეწილი მას აქეზებს, ნარს აგლეჯინებს!
და გამოუცდელს, გულუბრყვილოს სჯერა ბიძისა.
მე რა ვიღონო? ასე უცბად რა შთავაგონო?
შესაძლო არის გახელდეს კიდევ! და სახიფათო
მოიმოქმედოს... რა ვიღონო? ო, ვიცი... ვიცი.
შელიას მახე!
მე მას შევიპყრობ,
ხოლო დედოფალს ვსთხოვ აბატიოს სიკვდილით დასჯა.
ამით მე ვიხსნი დედოფალსაც და ჩემს მიჯნურსაც!
სამეგრელოსაც ასცდება შფოთი!
ას ა ნ დ ა — (შემობის)
აი, წერილი წაიკითხე...
აქ დაწვრილებით მოსახავს გეგმას...
ჯ არ ნ ა — ვიცი, ასანდა! ენა ტკბილია
და დაპირებას ხარკი არ აძევს!
ას ა ნ დ ა — მაშ შენ თანახმა არა ხარ, რომ...
რომ შენ ბიძაჩემს — ბეჟან შელიას — მხარი მისცე
და კავშირი შეჰკრა?
ჯ არ ნ ა — ბეჟან შელიას! ბეჟანს...
ას ა ნ დ ა — არა ხარ თანახმა?
ჯ არ ნ ა — (ცდილობს აზრი გაუფანტოს)
ერთი უცქირე ამ მშვენიერს და მზიან დილას!
რარიგ შეიმობს დღეს ბუნება, თვალწარმტაცია!
ამ დროს... იქ! შორს... შორს... ჩემს ბავშვობაში

ჩონხუც ჯანდისთან იალალზე თხებს ვაძოვებდი.
მტაცებელ აფთრებს და უძღვებ მგლებს მახეს ვუხვებდი!
მახეს! მახეს!

მაგრამ დაგვეცნენ აბრაგები — ისინიც მგლები —
მე გამიტაცეს და ტყვედ გამყიდეს...
მოვხვდი ქაირში!

ჩემი მყიდველი იყო სარდალი!
თხუთმეტი წელი დავყავ მე მასთან!
ერთხელ, როდესაც იგი მოჰკლეს, ჯარს მე წარვუძეხ
და გავიმარჯვე... იქაც მე მტერს მახე დავუხვე!
მახე! მახე!

მაგრამ მე მუდამ თვალწინ მედგა ჩემი ქვეყანა...
მოვისწრაფოდი სულით, გულით და, აი, მოველ...
მოველ და ვნახე, რომ სამშობლო დაგლეჯილია...

ასანდა — გინდა გამართო ლაპარაკით... ჩემი თხოვნა კი...
თუ ვერ გადაწყვეტ...

მაშინ ჩემდამი სიყვარული შენ არ გქონია!
მაშ ერთგულებას, მითხარ, რატომ მეფიცებოდი?
არ გინდა ჩემთვის თავდადება? თავის განწირვა?
მაშ სიყვარულის შენი ფიცი ფუჭი ყოფილა!

ჯარნა — მოიცა, ასანდა! ნუ სცხარობ, ასანდა!
ვფიქრობ, წერილი ვის გავატანო?
ვფიქრობ ჯოდოლი გამომადგეს... კარგი იქნება!
ის აფხაზია და გზებიც იცის...
ჩემთვის სანდოა და გამოცდილი...

ასანდა — ახლა კი მჯერა, რომ ჩემთვის ზრუნავ,
და სიყვარულსაც აფასებ ჩემსას...

ჯარნა — ახლანდელ ქცევით ნუ გაზომავ ამ გულის გრძნობას!
შენდამი ჩემი სიყვარული უფრო ღრმა არის,
უფრო ნათელი!
აი, ვწერ წერილს ბეჟან შელიას.

(წერს)

„უნდა მოხვიდე დედაქალაქში...
... უცბად შევიპყრობთ... დედოფალ მაიას“.
ასანდა! ხომ შევიპყრობთ დედოფალს?..

ასანდა — ჩემს ხელთ იქნება!

(გადაეხვევა)

ჯარნა — შენ სახიფათო საქმეს იწყებ...

თუ წახველ სადმე,
ხომ იცი, ხვალ უკვე მე აბაშისკენ მივემგზავრები.
შენ აქ დიდი სიფრთხილე გამართებს,
თუ სადმე წახველ,
საიდუმლოდ უნდა წახვიდე!
ჩემი კაცები გეყოლებიან ფარულ მცველებად!
მაგრამ შენც გქონდეს იარაღი... და თან ატარე...
მე ეს დამბაჩა ქაირში მიძღვნეს.
როცა მირჩევდნენ ჯარის უფროსად!

(დამბაჩას გადასცემს და იძახის)

ჯოდოლი!

ჯოდოლი — კარზე ვარ, ბატონო!

ჯარნა — ხომ გახსოვს შარუხია?

ჯოდოლი — (იგონებს)

რომელი შარუხია... ჩაგუ...

წვერი ასეთი?... ცხვირი ასეთი?..

აფხაზეთში რომ დავტოვეთ — შარვაშიძეს თვალი ადევნოს...

ჯარნა — ჩუ!

ჯოდოლი — ვიცი! ვიცი! კარგადაც ვიცნობ!

„იაუ! იაუ!“ გურულებს აბრაზებდა!

ჯარნა — ხვალ დილით წახვალ აფხაზეთში!

შენ, აფხაზი ხარ, გზა კარგად იცი!

ჯოდოლი — გნებავს

ვეწვევი შერვაშიძეს.

იმ გამყიდველს, იმ

გაიძვერას, ქრისტეს მოძულეს

და ამ დამბაჩით...

ჯარნა — გაჩერდი და მე მომისმინე.

აი, ამ წერილს ჩაგუს გადასცემ საკუთარ ხელში!

დანარჩენი თვითონ მან იცის.

ჯოდოლი — არ დავაყოვნებ. ბატონო ჩემო!

(გაღის „იაუ! იაუს“ სიმღერით)

ჯარნა — ნახვამდის, ასანდა!

ასანდა — ერთი ამბორი, მერე — ნახვამდის!

მოქმედი მხარე

სურათი მისამე

აჯანყებული გლეხობა

(ეკლესიის გალაკანში გლეხები განლაგებულან ჯგუფ-ჯგუფად. მოჩანან ქალებიც ლოდზე მიუყუდებიათ შეხვეული დროშა (შილა), რომელსაც ორი გლეხი სდარაჯობს. ათავებენ მხედრულ სიმღერას. შემოდის გადილია).

გადილია — სად არის ჩვენი მეთაური, ბასაია?

ბასაია — აქ ვარ გადილია. რა გაიგე?

გადილია — მშობლები ტყეშიაც ეძებდნენ, მაინც ვერ ნახეს,

თუმცა კვალი ტყისკენ მიდიოდა.

ბოლოს ნახეს საცოდავი ქალი, ხეზე მიკრული,

პირში ბურთი ჰქონდა ჩაჩრილი!

თურმე ეს ქალი უნდოდათ გაეყიდნათ.

მაგრამ რაკი მღვეარი მიჰყვა,

ველარ მოასწრეს და ხეზე მიაკრეს...

რომ აურზაურს გადაევიდა და შემდეგ აესრულებინათ...

წულიაია — განა შეიძლება, შური არ იძიო? ასე ამბობენ. ჩვენი მეთაური ბასაია არ ჩქარობსო — მართალი ყოფილა! შურისძიება, ბასაია!

ბასაია — ახლა იყურე! ქვას ქვაზე არ დავტოვებთ!

არ დავყრით იარაღს, სანამ ერთი თავადი კიდევ იქნება

ცოცხალი! ჰფიცავს ბასაია!

ისმის ძახილი — ვო, ბასაია!

წულიაია — მოიცა, იძახიან!

ბასაია — მოდიან! კიდევ გვემატებიან.

გლეხები — აქეთ! აქეთ!

(შემოდინ შეიარაღებული გლეხები)

ცაკვიაია — მე ვარ ცაკვიაია! გამარჯობათ თქვენნი!

აი, კაცები მოგიყვანე.

ბასაია — ცაკვიაია, გაგიმარჯოს, მტერი დაგიმარცხოს!

რას იტყვი გლეხურს?

ცაკვიაია — ყველანი მზად არიან! წალენჯიხაში მოკლე გზით გადავლენ. ამბობენ: განა ჩვენი ძმები და შვილები იმიტომ იმობდნენ, რომ შემდეგ ბატონისაგან უარესი დღე ვნახოთო?

ისხეს იარაღი, არც ერთ თავადს არც ერთი მარცვალი არც ლომის, არც ფეტვის

(ბასაია აღსტურებს ჰო, ასე)

არც ლენო არც ერთი დოქი! კიდევ ამბობენ: მეც ღმერთმა ვამაჩინა, მიწაც და ბატონიცაო.

(ბასაია: მართალს ამბობენ)

რატომ უნდა იყოს მიწა მართო ბატონისაო! **მათე-მღვდელი** — დასტურ! მართალი უთქვამთ! ღმერთია ყველას დამბადებელი. ღმერთის წინაშე ყველა თანასწორია.

ბასაია — მათე! ღმერთის წინაშე კი, მაგრამ აქ, დედამიწაზე? ღმერთი ცაშია და როცა იქ წავალთ, მაშინ ვილაპარაკოთ.

ჩვენ რას გვარგებს, რომ ცაში თანასწორები ვიყოთ?

ბალხი — (აღაპარავდა) ცაკვიაიამ მართალი თქვა, არც ერთი მარცვალი: არც ლომის, არც ფეტვის!

— ომმა შთანთქა ყველაფერი!
— ერთი შეხედვე ამ უბედურს, სხეულს ძონძები უფარავს!

ბასაია — მე იმასაც გეტყვით: მოახლეები. შინაყმები, პურის მცობლები, მხარეულები, თუ ნებით არ მოგვემხრობიან, ძალით გამოვადევნოთ ბატონის სასახლიდან. ბატონმა თვითონ გამოაცხოს. თვითონ მოხარშოს. რომელი გლეხიც ჩვენ არ მოგვემხრობა, ისიც დავარბიოთ, რადგან რაკი თავადს ემსახურება, მაშასადამე, ჩვენი მტერია!

ბალხი — დასტურ, მართალს ამბობ! არ იყოს დაზოგვა! არ იყოს დაზოგვა!

ბასაია — შენ, ჰეი, მათე გვაძაბია! გვიამბე რაფერ იყავ კარის ხუცესი? ბატონმა ხელ-ფეხი შეგიკრა და გაყიდვას გიპირებდა?

მათე — შემონახულმა თორმეტმა ვერცხლმა გადამარჩინა. ერთი გახვრეტილი უზალთუნილა დამრჩა და ისიც იმ თორმეტ ვერცხლს მივაყოლე და ისეთი წყევლა. რომ აი, ბატონებს მოეწიათ.

ბასაია — წადი. გამოიტა შენი ჯვარი და წმ. გიორგის ხატი, ხალხი დააფიცე!

მათე — ფიცე პირს შეჰკრავს, ვაგვაძლიერებს!

(მათე გადის, ამ დროს ძახილით შემობრის ყმაწვილი მიჭინა)

ბიჭინა — ძია ბასაია! ძია ბასაია!

ბასაია — ბიჭინა! საიდან მორბინარ?
 ბიჭინა — წყალზე რომ მივდიოდი, ერთი უცნობი შემხვდა.
 შენს სახელს მეკითხებოდა.
 ბასაია — რაია ერთი? ჩემთან მრავალი უნდა მოდიოდეს!
 ბიჭინა — მასთან ერთი სხვაც არის. იმან მითხრა:
 ბასაია გვაჩვენეო!
 ბასაია — მერე? შენ რა უპასუხე?
 ბიჭინა — მე ვიცი, თუ კაცი გულდაგულ მოდის, და არ მოიპა-
 რება, უთუოდ ჩვენი! ამიტომ წამოვიყვანე.
 ბასაია — ყოჩაღ, ბიჭინა!
 ბიჭინა — აგერ, გადახედე, ბილიკზე ამოდიან!
 ბასაია — (იქირება) დედაუ! რაფერ დავიჯერო? ბაღუკა! გახე-
 დე, თუ შენც იცნობ! ბიჭინა, ცხენი ვის მიაბარა?
 ბიჭინა — ეგ მკ არ ვიცი, რადგან არ მიკითხავს... არც მინახავს.
 ბაღუკა — (იქირება) ბასაია, ვიცნობ, ბასაია!
 ეგ ხომ ჩვენი ჯარის უფროსი იყო ანაკლიასთან! ჯარნა!
 ბასაია — ბაღუკა! კარგად გალანდე. იქნებ შენც გეჩვენება!
 ბაღუკა — გეფიცები, არ მეჩვენება — ა, ჩარგაზია! ჯარნა!
 ა, მის გვერდით მარლანია! დუდე!
 ბასაია — ბიჭინა! ჩქარა, ბიჭინა! დარეკეთ ზარები, ყველა ამ-
 მოვიდეს.
 გესმით? დედოფლის სარდალი! ჩვენთან მოდის.
 გადილია — კი მაგრამ მტრად მოდის, თუ მოკეთედ?
 ხალხი — მტრად რატომ უნდა მოვიდეს — ეგ ხომ გლეხის შვილია!
 მტრად მოვა და დავხვდებით!
 (ბიჭინამ ასტეხა ზარების რეკა. მოგროვდა ხალხი. შემოდიან: ჩარგაზია
 და მარლანია)

ჯარნა — ვაჟკაცებს და ყმაწვილკაცებს გამარჯობათ! ჩვენ მოყვ-
 რად მოვსულვართ.
 ბასაია — ჩემი პატივისცემა, ხალხის პატივისცემა ბატონ ჩარგა-
 ზიას!
 ჯარნა — შენ კი მეცნობი, კარგად მეცნობი! შენ ხომ ბასაია ხარ!
 ბასაია — დიანს! განლაგარ! გახსოვს, მე რომ გამგზავნე რაზმით,
 ცხენიდან ჩამოვავდე თურქების ბელადი.
 ჯარნა — უმალვე გიცან, ჩემო ბასაია!
 ხალხი — დიანს! გვახარებს კეთილი კაცის მოსვლა!
 ჩვენ ვიცნობთ ჯარნა ჩარგაზიას...
 თურქებს მაგან უტია ანაკლიასთან.

ჩვენი მხსნელია — ჩვენი ვაჟკაცი.
 კეთილი იყოს შენი მოსვლა, ბატონო ჩარგაზია!
 ბასაია — მე, მართალია, ხალხმა მეთაურად ამირჩია, მაგრამ მე-
 თაურობა ძნელი საქმე ყოფილა! მე ისეთი სარდალი არ ვარ,
 როგორც... აი,
 თუ შენ იკისრებ... ალბათ, გაიგე ჩვენი გაჭირვება.
 მოხველ რომ დავგეხმარო...
 რნა — ბასაია! არ დაგიმალავ! მე აქ დავალეხით ვარ მოსული!
 ალბათ, შენ გამაგებინებ: რა ამბავია, რომ ეს ხალხი შემო-
 გიკრეფია ფიშტო-დამბაჩებით. მაჭახლეებით, ნაჯახებით და
 ფიშლებით?
 ბასაია — ჩვენ, ბატონო ჩარგაზია, ბატონებს გამოვუცხადეთ
 ომი! ყველა სოფლებიდან ხვალ გათენებისას წალენჯიხისაში
 ვიქნებით — იქ უნდა მოვითათბიროთ — იქ უკვე სხვა სოფ-
 ლები და ხალხი გველოდება. ჯერ უნდა გადავწვათ ჩიჩუა.
 მერე დგებია... და ბოლოს ხეცია!
 ჯარნა — მიზეზი, ბასაია? მიზეზი?
 ბასაია — მიზეზი? აი, ხალხს ჰკითხე! (ხალხს) ძმებო, მეგობრებო!
 მიზეზს კითხულობს. ნამფორია, კვესალია უთხარით მიზეზი!
 მამფორია — როგორ? არ იცი თუ? ვისაც ღომი, ფეტვი და
 ღვინო მოჰყავს და ბატონს აცხოვრებს — სიცოცხლე გაგვი-
 მწარდა. გადასახადი და ხარკი.
 კვესალია — მთავარს ათასნაირი. ბატონს ამდენივე.
 ესაკია — საური, საუდიერო, ოჩამური, სამარხვო, სასხნილო,
 საყველიერო, სამასპინძლო, ძღვენი. მიქებართა შესანახი და
 სხვა ათასი!
 მამფორია — ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი!
 ბარამია — აღარ შეგვიძლიან! დაჯოგდებიან ბატონები და თი-
 თო კვირით გვესტუმრებიან. ხან ერთ გლეხს ჩაუსახლდებიან...
 ხან მეორეს. ხოცავენ მუშა საქონელს.
 ხალხი — (ჩარგაზიას აწეთ-იქიდან, ყოველ მხრიდან)
 შენ არ იცი? გლეხი რომ მიწასთან არის გასწორებული და
 გაქელილი, ეს შენ არ იცი?
 ან დავიხოცებით, ან ბატონებს გავანადგურებთ.
 დედაკაცი — მეც მათქმევივინეთ! მე, უბედურს და შერცხვენილს!
 აი, უცქირე, ეს ვაჟი ჩემი შვილია — ომში შენთან ომობდა.
 დანიშნული ყავდა. მის ბედნიერებას შევხაროდი. ერთი თვის
 წინათ, ჯერ ეს სახლში არც კი დაბრუნებულყო, პატარძალი
 მომტაცეს, შეგვარცხვინეს, ყელეები დავგჭრეს.

მამფოროთა — შეიძლება მოითმინო? შეიძლება აპატიო? ახლა ის
ქალი ჩიჩუას ჰყავს. იმისთანა კიდევ რამდენი სხვაც!

ესაკია — აი, თვითონ ამ გვასალაას ხუთი დღის წინათ დაეცნენ
როდესაც ყვირილი მოგვესმა, მივეშველენით!
შევიპყართ ავაზაკების მეთაური.

ბასაია — და იცი ვინ აღმოჩნდა? გაიოზ ბედიას მოურავი! ჯონ-
დი კანკავა!

ჯარნა — რაო? ბედიას მოურავი? რომელ ბედიას მოურავი?

ბასაია — დედოფალთან რომ გახლავს გაიოზ ბედია! იმისი მოურ-
ავი!

აგერ იმ ნანგრევთან ის კანკავა ჯაჭვით დავაბი, რომელი
ჯაჭვითაც ბატონი ყმებს აბამდა — ხვალ ხალხი გაასამარ-
თლებს!

ჯარნა — მაშ, გაიოზ ბედიას მოურავი?

ბასაია — არ გჯერა თუ? დედოფალთან რომ არის. ბედია! დას-
ტურ მისი მოურავი!

ჯარნა — აბა, შემოიყვანეთ!

ბასაია — იმასთან ერთად ერთი სხვა ნადირიც მყავს დაბმული!
ის კი საეჭვოდ დაძვრებოდა და ხალხს გლახა აზრებს ასმენდა:
„გეშინოდეთ სულთანისაო!“ ბოლოს გამოვტყუებთ, აფხაზეთი-
დან შიკრიკი ყოფილა. შერვაშიძეს და ბეჟან შელიას გამო-
უგზავნიათ აქაურ ბატონებთან.

ჯარნა — აბა, ორივე მომიყვანონ!

ბასაია — ბოკუჩია! შემოათრიეთ ძაღლები!

(ბოკუჩია გადის. ამ დროს შემოდის მათე ჯვრით ხელში. ბიჭინას უჭი-
რავს წმ. გიორგის ხატი. ყველანი ქულებს იხდიან).

მათე — წმიდამან გიორგიმან შემუსრა მახვილითა თვისითა ვეშა-
პი — მტერი და სისხლისმსმელი ადამის მოდგმისა. ვითარცა
გაიმარჯვა გიორგიმან, თქვენცა გაგემარჯვოთ აწ და მარადის!

ხალხი — ამინ!

წმიდაო გიორგი, წმიდაო მფარველო,
შენ იყავ შემწე გაჭირვებულის.

(ხალხი გალობს).

ბასაია — ჩვენ ახალი მეგობრები შემოგვემატნენ! აგერ მამფო-
რია, აგერ ქირია! აგერ ჯაბუა! კიდევ რომლები ხართ, წამო-
დქით წინ!

(რამდენიმე გლეხი წინ წამოდგება)

დაიდეთ გულზე მარცხენა ხელი, ხოლო შუბლზე

მარჯვენა ხელით სამი თითი, აი, ასე!

შევეფიცოთ, რომ გლეხის მართალ საქმეს არ ვუღალატებთ!
შენ ჩარგაზია? ან შენი მეგობარი? თქვენც ხომ ახლად მო-
სულეები ხართ?

ჯარნა — მართალ საქმეს არც ჩვენ ვუღალატებთ!
ბასაია — მაშ დადქით, როგორც სხვები დგანან და შევეფიცოთ
ერთმანეთს.

ჯარნა — ბასაია, მე რომ არ ვიცი...

ბასაია — რა არ იცი? ჩვენ რომ გეტანჯავენ,

ჩვენ რომ გვყიდნან,

ჩვენ რომ გეტაცებენ ვაჟებს და ქალიშვილებს —

შენ ეს არ იცი?

ჯარნა — ვიცი, ბასაია! ჩემ თავზე გამომიცდია! მეც თორმეტი
წლისა ვიქნებოდი, მომიტაცეს და გამოყიდეს!

ბასაია — მაშ შემოგვფიცე, რომ იბრძოლებ ჩვენი მართალი
საქმისთვის, უბედურების წინააღმდეგ...

ჯარნა და მარდანია — ვიბრძოლებთ!
(დგებიან შეფიცულა შორის)

ბასაია — მღვდელო, ის დროშაც...

(დროშა მოაქვთ ხატთან. ბასაია დროშას ჩამოართმევს. ხმალს იწიშვლებს
და ისე უჭირავს, თითქოს დროშას იცავდეს)

მღვდელო, თქვი ლოცვები!

მათე — ფიცითამც შეგკრულვართ და ესდებთ აღტქმას,
რომ თავს დავდებთ ერთმანეთისთვის და გლეხის საქმეს არ
ვუღალატებთ.

(იმეორებენ)

ვფიცავთ რომ ჭირში და ლხინში ერთად ვიქნებით, როცა
ბატონებს თავიდან მოვიშორებთ!

(იმეორებენ)

მახვილმა გაჰკვეთოს, ვინც ბატონს მიემხროს და რისხავდეს
წმიდა გიორგი — ამინ!

ხალხი — ამინ! ამინ!

(შემოჰყავთ ორი შეპყრობილი)

ბასაია — აი, ესენი! აი, ის მოურავი — ჯონდი კანკავა!

ჯარნა — შენ ვისი მოურავი ხარ?

მოურავი — მე უკვე ვთქვი!

ჯ ა რ ნ ა — შენ იტაცებდი?

მ ო უ რ ა ვ ი — მე არ ვიტაცებდი, არამედ მიმყავდა! უწინ ეს თავი
სუფლად შემეძლო და გლეხი ხმას ვერ დასძრავდა. ახლა
ყმა ბატონს ეკუთვნის! გინდ გაპყიდის, გინდ გადასცვლის!
ბ ა ს ა ი ა — ხედავ, როგორი თავხედია თავის პატრონივით.

ჯ ა რ ნ ა — მაშ მომისმინე, ბასაია! მე ვბრძანებ დედოფლის სახე-
ლით: რათა სხვამ ვეღარ გაბედოს მონებით ვაჭრობა, წაიყვან
ეს „პატიოსანი“ მტაცებელი ჯონდი კანკავა და იმ სახლის
წინ ჩამოჰკიდეთ მალალ ხის ტოტზე, საიდანაც ქალიშვილს
იტაცებდა!

ხ ა ლ ხ ი — ჰო, შენ გაიხარე! ასე! მიეზღოს! მიეზღოს! სხვა ვეღარ
გაბედავს!

(ხალხი მიესხვა და გაათრევენ)

ჯ ა რ ნ ა — შენ, აფხაზეთის მოციქულო! არც შენ აგცდებთ სახარხო-
ბელა, თუკი რამ დაფარე.

შ ი კ რ ი კ ი — (მაინც ნირს არ იტებს)
სულთანის გეშინოდეთ!

ჯ ა რ ნ ა — მაშ შენ სულთანის მზვერავე ხარ?

შ ი კ რ ი კ ი — შერვაშიძე — მთავარი აფხაზეთისა — და ბეჟან შე-
ლია სულთანს ემორჩილებიან! თქვენც უნდა დაემორჩილოთ!

ჯ ა რ ნ ა — აა! ბეჟან შელია და შერვაშიძე! მართალს ბრძანებ,
ისინი ემორჩილებიან, მაგრამ ჩვენ არ ვემორჩილებით.

შ ი კ რ ი კ ი — მე მათი დავალებით გიცხადებთ:
პირი იბრუნეთ სტამბოლისკენ! თქვენ არ ხართ ქართველები!

ხ ა ლ ხ ი — (ხალხი აფორიაქდა) რას ამბობს? რას ბოდავს?
მოაჭერ ენა, დათხარე თვალები.

შ ი კ რ ი კ ი — ხონთქარი უძლეველია!
თქვენი მზე სტამბოლში ამოდის და არა თბილისში!

ბ ა ს ა ი ა — ერთი უცქირე ამ წუჰაკს!
მომიყვან აქ! გაჩერდი ჩემ პირდაპირ! მიცქირე; თვალებზე
მიცქირე! შენ იცნობ მეგრულ გლეხს, ბასაიას? გაიმეორე, ვინ
ვარ მე, ბასაია?

შ ი კ რ ი კ ი — შენ არ ხარ ქართველი!

ბ ა ს ა ი ა — იმიტომ არ გინდა ვიყო ქართველი, რომ ისლამს გზა
გაუჰაფო, მოვიდეს სულთანი და ჩემს ოჯახში მოიკალათოს,
წაასხას ტყვეები და წამგლიჯოს ანაკლია! იცი რას გვიქადის
ეს წუჰაკი? ხელახლად დედათა შეურაცხყოფას, ქალიშვილე-
ბის გატაცებას, სახლ-კარის აწიოკებას, მამების სიკვდილს.

სამშობლოს გაუბედურებას. მონობას, მონობას... ვერ ეღირსე-
ბი, ძაღლო! შეატყობინე მაჰმადს, რომ ჩვენ ქართველები ვართ
და ჩვენი მზე თბილისში ამოდის!

(დამბაჩას დაახლის)

ქეი, მეგობრებო და მეზობლებო!
გაშალეთ შილა! გველოდებიან წალენჯიხაში!
მოღის გლეხი და ვაი თქვენ, ბატონებო!

ე — (ჯვართ ხელში)

დამილოცნიხართ! დამილოცნიხართ!

(იგივე სამხედრო სიმღერა).

მოქმედება მასამ

სურათი მართხი

ღარბაზი

დედოფალი მათა, სეფექალები საკრავებზე მღერიათ:

ის არ იყო ტყე უღრანი,
არც პატარა ველი;
მონადირემ შველი ნახა,
მოცქრიალე შველი.

ზღაპარ-იყო, ზღაპარ-იყო,
ყვავილებში ლაღად იყო!
ის შავთვალა
არ შემკრთალა

სად წავიდა შველი?
მონადირე ელის...

ო ტ ი ა — (შემოდის, ეტყობა მოუსვენარობა)

შვილო მათა, ცალკე მინდა გელაპარაკო.

დე დ ო ფ ა ლ ი — რა მოხდა, ბიძაჩემო? სახე შემკრთალი გაქცეს!
დაგვტოვეთ დობილებო! —

(ამალა ვადის)

გეტყობა რაღაც მწუხარება!

ო ტ ი ა — რა დავალებით გაგზავნე ჯარნა ჩარგაზია?

დე დ ო ფ ა ლ ი — რაც შენ კარგად მოგეხსენება!

ო ტ ი ა — მას უკუღმა უმოქმედნია!

დე დ ო ფ ა ლ ი — შენც აგამხედრეს?

გადაგიბირეს მოშურნეებმა?

გაიოზ ბედია ბოლო დროს განდა აუტანელი!

ო ტ ი ა — მაგრამ თუ მართალს ამბობს?...
დაე თუნდ იყოს საწყენი კიდევ.

გთხოვ, მოუსმინო... გაიოზ ბედიას.

დე დ ო ფ ა ლ ი — კიდევ მოვუსმინო?

ო ტ ი ა — შენ მუდამ გმართებს ყურადღება — დედოფალი ხარ!

დე დ ო ფ ა ლ ი — რა დედოფალი?

რაც მე კეთილად მიმაჩნია, შავად მისახავს!
რასაც ვენდობი, ის მას აქარწყლებს...

აბა, მე

რა დედოფალი ვარ რომ კიდევ უნდა მოვუსმინო...

(შემოიჭრება გაიოზი)

გ ა ი ო ზ ი — ხარ დედოფალი, შემკობილი ნათელის სიბრძნით!

დე დ ო ფ ა ლ ი — ვინ მოგიხმო?

გ ა ი ო ზ ი — სახელმწიფო მოვალეობამ!

ვერავ ადამიანს და შხამიან გველს

ცხრა ქერქი და ცხრა ნილაბი ჰქონია!

დე დ ო ფ ა ლ ი — მერე, ვინ არის მაგნაირი?

გ ა ი ო ზ ი — განსაცდელში ვართ ჩვენც შენთან ერთად!

მეგობრად მიჩნეული სამარეს გვიტხრის!

დე დ ო ფ ა ლ ი — არ მახსოვს შენგან, სასიხარულო ამბავი გეტქვას!

გ ა ი ო ზ ი — ჯარნა ჩარგაზია მოღალატეა!

(დედოფალი შეწუხდა)

დე დ ო ფ ა ლ ი — თქვი, მხოლოდ მოკლედ!

გ ა ი ო ზ ი — შენ ის გაგზავნე იმერეთის საზღვრებისაკენ,

რომ იქ ჩაეხშო ანღრევა, შფოთი და გლეხთა ჯანყი!

რომ ჩვენს ერთგულებს მშვიდად ეცხოვრათ...

(კარებთან ფარდას ეფარება ასანდა)

რომ მას სრულიად აღმოეფხვრა მემამოხენი,

მაგრამ ჩარგაზია...

ის მიმხრობია აჯანყებულებს.

დე დ ო ფ ა ლ ი — შენ ვერ იტან ჯარნა ჩარგაზიას!

ის შეასრულებს. რაც დაევალებ!

გ ა ი ო ზ ი — არ შეასრულა!

დე დ ო ფ ა ლ ი — საბუთი?

გ ა ი ო ზ ი — მოგახსენებ!

ჩვენ გვეკარგება უფლება და თვითარსებობა!

მცირე ხნის შემდეგ შენი ტახტიც უნდა გაუქმდეს!

რომ ეს ასეა... ჩარგაზია ამას ამზადებს!

ეს ჩანს იქიდან, რომ მას არა მემამოხენი,

არამედ ჩვენი მომხრეები და ერთგულები:

მექი, ჩიჩუა, დგებია და ხეცია

დაუბრებელი! მოუწყვია გასამართლება!

ჯონდი კანკავა ჩამოუხრჩვიათ აჯანყებულებს!

ორნი ციხეში დაუმწყვდევია...
დ ე დ ო ფ ა ლ ი — გესმის, რას ლაპარაკობ?
თუ ცილს სწამებ და გინდა ამამხედრო,
— ბოლოს ინანებ.

კ ა ი ო ზ ი — მე პასუხს ვაგებ...
ის ხელმძღვანელობს მემბოხეებს!
თქვენ მას უბოძეთ დიდი უფლება...
და შეუძლიან მას ყველაფერს დაეპატრონოს!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — როგორ, ყველაფერს?
კ ა ი ო ზ ი — სამეგრელოს ტახტსა და გვირგვინს!
დ ე დ ო ფ ა ლ ი — ამ ჩემს გვირგვინს!

(გულში სიხარულით თავისთვის)

ო, ეგ რომ მოხდეს!..
გავცემ ბრძანებას, დაბრუნდეს უკან და მომასხენოს!
კ ა ი ო ზ ი — არ საჭიროებს ის თქვენს ბრძანებას —
უკვე დაბრუნდა!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჯარნა დაბრუნდა?
მართლა დაბრუნდა? მერე, სად არის?
კ ა ი ო ზ ი — გმართებს იგი მსაჯულთ გადასცე!
დ ე დ ო ფ ა ლ ი — მსაჯულთ? რისთვის?

კ ა ი ო ზ ი — ცხადი არ არის, რომ ის თვითნებობს...
რომ სახელმწიფოს საფრთხეს უმზადებს?
მსაჯულნი ამას გამოარაკვევენ
და განაჩენსაც გამოუტანენ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (საგონებელში ჩავარდა)
ახლა დამტოვე!

(გაიოზი გადის)

ბიძაჩემო, მსაჯულთ გარდაცე?
ვინ იქნება მისი მსაჯული?
თვითონ ბედი?

არა! არა! მსაჯული მე ვარ!

ო ტ ი ა — დამშვიდდი, შვილო!
შესაძლო არის, ყველაფერი ისე არ იყოს,
როგორც ჩვენს თვალებს ეჩვენება!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ხომ ეჩვენება, ბიძაჩემო, ხომ ეჩვენება?
შენც ხომ გგონია, ყველაფერი ისე არ იყოს...

ო ტ ი ა — შესაძლო არის!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ეგ მანუგეშებს!
თანაგრძნობისთვის მადლობელი ვარ!

(ოტია გადის)

არ შეიძლება მოქმედებდეს ჩემს წინააღმდეგ!
მას ოდნავ მაინც ვაგრძნობინე...

(ირგვლივ ათვალიერებს)

რომ იგი ჩემთვის საყვარელი არსება არის —
— ამას რას ვამბობ? —

განა არ ვიცი, უფსკრულია ჩემს და მის შორის —
მაგრამ წყეული სიყვარული — უფსკრულს ვერ ამჩნევს...
ვერ დავიჯერებ! გული, გული სხვას მეუბნება...
მას მე ბეჭედი ვუსახსოვრე — და ვაგრძნობინე...

(შემოდის ასანდა)

მანდ რომელი ხარ?
ს ა ნ დ ა — ბოდიშს მოვიხდი!
დ ე დ ო ფ ა ლ ი — ასანდა, შენ? რა დაგემართა?
შემკრთალი ჩანხარ!
რამე შეგემთხვა, თუ გაწყენინეს?
ს ა ნ დ ა — ვიცი, დედოფალო! მოვისმინე! გველი სისინებს...
დ ე დ ო ფ ა ლ ი — შენ რას დაგაკლებს?
შენ სპეტაკი ხარ, როგორც ყვავილი...

(დაუნახა თითზე ნაცნობი ბეჭედი)

უი, ჩემს თვალებს! ნუთუ... ეს... ეს...
ს ა ნ დ ა — მე ჩემთვის არ გთხოვ, სანეტაროვ...
მე სხვის მაგიერ —

რაცხან წავიდა იმერეთისკენ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (თავისთვის)
მაშინ გადასცა! ჩემი ბეჭედი...
ახლა კი თითქოს ნათელია, რომ ის ორგულობს!

(დელავს და თან ასანდას ხელზე უცქერის)

ს ა ნ დ ა — რაცხან წავიდა!
დ ე დ ო ფ ა ლ ი — სახსოვარი ჩემი ამშვენებს...
ს ა ნ დ ა — გთხოვ დაწვრილებით მომისმინო...

დედოფალი — ნეტა ვცდებოდე! ნეტა ვცდებოდე!
ასანდა — თქვენ არ შეცდებით, არ შეცდებით გულისხმიერის!
დედოფალი — რა საჭიროა კიდევ ეჭვი, როცა ცხადია!
როგორ ავიტან!

ასანდა — ვიღრე თქვენ თვითონ მას არ მოუსმენთ!
დედოფალი — ნუთუ მან ჩემი სხეას უსახსოვრა...
ჩემი მიწასთან გასწორება! შეურაცხყოფა!
ასანდა — დედოფალო, ცუდად ხომ არ ხართ?
დედოფალი — გული! გული! როგორ კანკალებს?
დამადე ხელი!

(მის ხელს ხელში იჭერს, ვითომ შვერდზე დასადრბად. ნამდვილად კი ხე
ჭედს ათვლიერებს)

ჩემი სიკვდილი!

ასანდა — დედოფალო, თუ ხართ შეუძლოდ!
დედოფალი — წყევლა და რისხვა!
უმაღურობა!
ჩემი დამცირება! ჩემი...

(გადის)

ასანდა — ღმერთო ჩემო, რა დაემართა?
რა მოვისაზრო, რომ ვიხსნა ჯარნა
და ავაცდინო დედოფლის წყრომას?

იგივე სცენა

სურათი მესამე

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდება დედოფალი ძალი. მოსვენება მეტად
დაუკარგავს

დედოფალი — იქნებ სხვა იყო ის ბეჭედი... იქნებ მე შევცდი!
ჩემი შეცდომით კაცის ბედი უნდა გადაწყდეს?
ისეთი კაცის, ვინც ამაგი დასდო ქვეყანას?

(იძახის)

ჰეი, მოვიდეს ჩემთან ასანდა!
სინამდვილე მინდა გავიგო!

(ძელს რეკავს, შემოდის თელი)

შენ ხარ ნობათზე?

თელი — მე გახლავარ!

დედოფალი — რატომ ბნელა? ანთეთ ჭრაქები!
თელი — ყველგან ანთია, დედოფალო!
დედოფალი — მაინც რად ბნელა?
თელი — რა მოგახსენო?! იქნებ გეჩვენება?
დედოფალი — ბნელა! ბნელა!
თელი, შენ წადი, მე სხვას ვეძახი!
სთხოვე, მოვიდეს ჩემთან დესი!
თელი — ის ავად გახლავს!
დედოფალი — მოვიდეს ესმა — გინდა ძაძუ!
თელი — მე შემიძლიან გემსახურო, თავს შემოგვევლე!
დედოფალი — არა! შენ არა!
თელი — გიხსლები!

(გადის)

დედოფალი — თელეც... გაიოზიც... მძულს...
რატომ ვეძახი ერთს, ან მეორეს?
აზრი დამეზნა მე მინდა ასანდა!
თითქოს მეშინიან, თვალეზში შევხედო. სიმართლე გავიგო...
მინდა ასანდა!
ენახო, ნამდვილად ის ბეჭედი?
წყეული გული! წყეული ეჭვი!
მაგრამ მას თავი გავუყადრო, მე, დედოფალმა!
ის ხომ მთავრის ქალიშვილია!

(მაგიდას დაეყრდნობა და ხელეზს სახეზე იფარებს)

სეფექალი — (შემოდის)
მოველ, დედოფალო!

(დედოფალი ხმას არ სცემს)

დედოფალო!

დედოფალი — რაო, რა გინდა?
სეფექალი — თელიმ მითხრა... თქვენ მეძახოდით...
დედოფალი — არა! არა! რატომ შეწუხდი...
მოიცა! წადი, ასანდას უთხარ...

(სეფექალი გაჩერებული სდგას)

რად არ მიდინარ?

სეფექალი — რა ვუთხრა, დედოფალო?
დედოფალი — რაც დაგავალე...
სეფექალი — რა დამავალე?

დედოფალი — იქნებ სჯობია ჩავიხშო გულში?
იქნებ დუმილი უკეთესია?
იქნებ მას თითზე სხვა ეკეთა, მსგავსი ბეჭედი?
და რომ მე ვკითხო,
ხომ მიხვდება ეჭვიანობას?

სეფექალი — დედოფალო! რას მავალებ, ვერ გამიგია!
დედოფალი — უთხარ ასანდას, მოვიდეს ჩემთან!
სეფექალი — ასანდა ახლა აქ იყო, დედოფალო!
დედოფალი — უთხარ მოვიდეს.

(სეფექალი გადის)

ო, ვერ ავიტან ამ დამცირებას...
არა მგონია! არა მგონია...
საცაა მოვა და როგორ ვკითხო?...
ნეტა შემეძლოს ჩავიკლა გრძნობა
და დავივიწყო, რაც ერთხელ ვიგრძენ.
ნეტა შემეძლოს! ნეტა შემეძლოს!

(შემოდის ასანდა)

რატომ გაქვს თვალი ნამტირალევი?
მომიახლოვდი...
რომელ კაეშანს დაუჩრდილიხარ?
ასანდა! სხვა დროს შემოსულხარ ჩემთან სიცილით,
და შენი სახე, შენი თვალი სხივებს აფრქვევდნენ...
ეხლა ავდარი ხომ არ მოსულა?

ასანდა — ავდარი — დიახ!
წელან მინდოდა მეტყვა თქვენთვის... მაგრამ დელავდი...
წავალთ აქედან, რომ ჩვენმა ხმამ ვერც მოაღწიოს...
შორს... შორს — ზღვის იქით! მოუსაველეთში!
ის მეტისმეტად გულკეთილია...
ის არ გასწირავს თავის მეგობარს...
გულით სპეტაკი, სულით მაღალი... თქვენი ერთგული...

დედოფალი — არა მესმის რა!
შენ ეს ბეჭედი ვინ მოგიძღვნა?
ვინ არის შენი გულის რაინდი?
ასანდა — ეს? ეს? არაფერია... არ მოუტია... ეს ისე...
დიახ... მან მომაბარა! მომაბარა!

დედოფალი — იმდენად შენთან ახლო არის, რომ მოგაბარა?
ასანდა — ვინ არის ახლოს?

დედოფალი — ვინც მოგაბარა!
ასანდა — მერე, თქვენ იცით ვინ მომაბარა?
საიდან იცით, რომ ეს ბეჭედი...
თქვენ ისევ დელავთ?
ნუთუ თქვენ იმას? თქვენ... მიუძღვენი?
ის ჩემი არის, და ჩემი საქმრო...
სამარადისო ფიციით შეკრული...

დედოფალი — რას იჭვნეულობ?
ასანდა — საიდან იცით?
დედოფალი — თავს ნებას აძლევ...
დამტოვე, ასანდა!

ასანდა — თავს ნებას ვაძლევ?
განა არა მაქვს ამის უფლება?
ვის შეუძლია ის წამართვას, რაც მე მეკუთვნის?
გულით, ფიციით, მთელი არსებით.
საიდან იცით, რომ ეს ბეჭედი იმან გადმომცა?

დედოფალი — ასანდა!
• კმარა!

დამტოვე!

(ასანდა გადის)

საქმრო ყოფილა, ფიციით შეკრული,
და ჩემს სახსოვარს... ის ჩემს სახსოვარს უძღვნის სეფექალს
არ ვაპატიებ! ჩემი გრძნობა ასე უარყო...

(შემოდის ოტია)

ოტია — შვილო მანა! ჯარნა ჩარგანია...
დედოფალი — მერე?
ოტია — ნახვას თხოულობს!
დედოფალი — შორს! შორს! უმადურის
მაღალი გრძნობა მან უარყო და დამცირა...
არ მსურს! გამშორდეს!
მისი მიღება, ბიძაჩემო, არ შემეძლიან!
თუმცა მოიცა! მე მას ვუჩვენებ,
როგორ მაღლობას გადავუხდი, როგორ მაღლობას!
დიახ, მოვიდეს! მან მივიღებ სიამოვნებით...
მთელი სასახლე უნდა შეხვდეს, მთელი სასახლე!
მეჩანგურეთა გუნდიც მოვიდეს! შევხვდეთ ზეიმით!
ოტია — მეჩანგურეთა გუნდი რისთვის?

დედოფალი — მინდა, ბიძაჩემო!
თუ მომახსენებს საამო ამბავს,
თუ გული ჩემი მას მიუზღავს სამაგიეროს...
მინდა დასასრულ ცეკვით გავართო!

ოტია — იყოს ნება შენი!
(ოტია გადის).

დედოფალი — მე ის გავგზავნე დავალებით... ჩანს, შეასრულა
მაგრამ რა გულით უნდა შემხვდეს იგი პირშავი?!
მას ვაგრძნობინე, ბეჭედიც მივეც...
და ჩემი გრძნობა ჰყო უგულუბელ...
ახლა მე ვიცი! ისერიგად მას ვაგრძნობინებ,
რომ დაახსოვდეს!
უმაღური! უფრო მეტიც — მოლაღატე!
გაიოზ ბედია არა სცდება და მართალს ამბობს!
ო, შევძლებ! შევძლებ სამაგიერო გადავუხადო...

(შემოდის ამაღლა. შემოდის დარბაისელნი, ოტია, გაიოზ, თელი, ასანდა, კარის-მცველნი და გუნდი მერონგურეთა. დედოფალი განგებ მოილხენს და თელას ხალხით ელაპარაკება)

ხანდახან როგორ ნათელი ხარ, თელი ძვირფასო!

თელი — მოხარული ვარ, ნეტარო დედოფალო!

დედოფალი — ჩემი ერთგული გაიოზიც ბედნიერია!

თელი — რით გამოვხატო ჩემი მადლობა?!

(ამ დროს შემოდის ჯარნა ჩარგაზია და მარლანია. მომავალ ჩარგაზიას დედოფალი უმზერს თვალში თვალის ვაყრით).

ჯარნა — (დაუჩოქა)
ჩემი უმდაბლესი...

(დედოფალმა უცბად ზურგი შეაქცია)

დედოფალი — გაიოზ! მასიამოვნე,
იცეკვოს თელიმ!

ჯარნა — დედოფალო...

გაიოზი — აბა, ქალებო! აბა, ვაჟებო!
თელი, იცეკვე!

(თელის აცეკვებენ და ცეკვით გადიან. ჩარგაზია წამოდგა. აენტო).

ჯარნა — რა თავს იგდებენ?

მარლანია — იყურე! რალაც გაუგებრობაა...

ოტია — რას ჰგავს, ასეთი მოპყრობა რას ჰგავს?
მაკვირვებს ქცევა...

ჯარნა — უცნაურობა! უგუნური უცნაურობა!
დამცირება! შეურაცხყოფა!

ოტია — ბოდიშს მოვიხდი მის მაგიერ! მე მაპატიე!

ჯარნა — ოტია! ოტია! პატიოსანო... მოხუცო...
ცხოვრებას იცნობ და ცხოვრებამ სიბრძნე შეგმატა!
მაგრამ ცხოვრებას ფუქსავატი ამასხარავებს...

(ბოლმით ხავე სიცილი)

ნამცეცის წონა... სულ პაწია...

გულის პატრონი...

ამიტომ არის, ვერა ხედავს მისი ბრმა თვალი...

რომ მისი ხალხი ჩავარდნილა უბედურს დღეში...

მარლანია — ჯარნა, რა მოგდის?

ჯარნა — ბოლმა, მარლანია, ბოლმა, ბრაზი ყელს მებჯინება!

ოხ, შეადარე იქ რა ვნახეთ, აქ რასა ვხედავთ!

განა იმ ხალხმა, ბასაიას მეთაურობით... აზვირთებულმა

არ უნდა შესძლოს... ცეცხლის ალს მისცეს?

ყველა თავისი მოქმედებით ფასდება მუდამ!

ბუმბული დაჰქრის იმიტომ, რომ ის მსუბუქია...

ვეფხვი მკაცრია, ლომი ბრძენი... ძღვევამოსილი...

მშვიდი და წყნარი...

გველი დახოხავს — გესლიანი! უცქირე, აგერ!

მან ნება მისცა თავის მოურავს...

კაციოზი — (შემოდის)

მარად ნეტარი დედოფალი ბრძანებს:

ჯარნა ჩარგაზიას

მოეხსნას ხმალი, ბოძებული სარდლობის გამო!

და, ბრალდებულმა სახელმწიფო დანაშაულში,

პასუხი აგოს მსაჯულთ წინაშე!

მიბოძე ხმალი!

ჯარნა — შენ, ხმალი? (იცინის)

შენ რა ღირსი ხარ?

იმას გადავცემ, ვისაც ვიცნობ ღირსად!

ხოლო მანამდე ჩემს ხელთ იქნება!

კაციოზი — კიდევ ურჩობა!

მაგით იმძიმებ შენს დანაშაულს!

ჯარნა — ვხარობ, რომ ჩემთვის გული შეგტკივა!

ქაირში ვიყავ მთავარსარდლად და პატივს მცემდნენ,

ჩემს ქვეყანაში ვერ ავიტან უმართებულოს.

(მკაცრად)

ჩამოდექ გზიდან,
შე ვნახავ თვითონ ჩვენს დედოფალს...
(გაემართება დარბაზისაკენ. გაიოზი გზას უღობავს..)

გ ა ი ო ზ ი — საით?

ჯ ა რ ნ ა — დედოფალთან! „კეთილშობილო!“

გ ა ი ო ზ ი — არ შეიძლება!

ჯ ა რ ნ ა — მე შევიძლებ!

გ ა ი ო ზ ი — ნებას არ გაძლევ!

ჯ ა რ ნ ა — ჯერ ხმალი ისევ წელზე მარტყია.

და ჩემს უფლებას ეს განანტიციებს.

აბა, გაბედე და წინ დამიდექ!

გ ა ი ო ზ ი — ჰეი, დარაჯუნო!

ო ტ ი ა — გაიოზ! როგორ ბედავ, როცა მე აქ ვარ?

დამშვიდდი, ჯარნა! მე მოვაგვარებ...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (შემოდის, მასთან ამაღაც)

რა ამბავია?

გ ა ი ო ზ ი — ურჩობა, დედოფალო!

ჯ ა რ ნ ა — დიახ, ურჩობა! შენი თრითინა წრიპინებს მხოლოდ,

გიბრძანებია, შემოვიხსნა სარდლობის ხმალი...

(აპირებს შემოხსნას)

დ ე დ ო ფ ა ლ ი — შეჩერდი!

მე მხოლოდ მინდა...

მინდა გავიგო...

ჯ ა რ ნ ა — ნუთუ სიმართლე?

ასეთ კაცისგან თქვენ ვერ გაიგებთ ნამცეც სიმართლეს!

თქვენ რომ გამგზავნეთ აბაშაში — გეგონათ, თითქოს იმერთა

მეფე აქეზებდა მემბოხეებს, —

სიცრუე არის, თვით მაგისგან გამოგონილი,

რათა დაფაროს სამარცხვინო, მზაკვრული საქმე!

გ ა ი ო ზ ი — გააძვევთ! ან აუკრძალეთ!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — გაიოზ! თუ მოთმინება დაგიკარგავს, დასტოვე

დარბაზი!

ჯ ა რ ნ ა — არა, აქ დარჩეს, რომ უფრო დასცხეს! იცის ობობამ

ზაფხულის სიცხე მატლის მტერია!

დედოფალო!

მწუხარებაში ხალხი გმინავს. დგას ცრემლის გუბე!

დედებს სტაცებენ ნორჩ გოგონებს და ვაჟიშვილებს!
ვინც ჩემთან ერთად მტერს ებრძოდა და თქვენ გიცავდათ.
მისი ოჯახი ჩაუქრიათ ძალმომრეობით!
დაუბეგრიათ, გამოუხრავთ, შეუჭამიათ... უწამებიათ!
ტყვეებს ყიდიან და პატარძალს საქმროს სტაცებენ!
ვინ სჩადის ამას?

აი, ეს! თქვენი გაიოზ ბედია და ძმანი მისნი!

დიახ, მაგისი მოუტრავი — ჯონდი კანკავა —

მაშინ შეიპყრეს, როცა იგი ყრმას იტაცებდა.

მაგის ნებართვით,

როგორც უბრალო ნივთს გასაყიდად!

თქვენი სახელით გავეც ბრძანება,

რომ ადგილზევე, იქვე ეზოში ის დაესაჯნათ!

ჯონდი კანკავა ჩამოახრჩეს მაღალ ხის ტოტზე.

ამით ავკვეთე ყმებით ვაჭრობა.

ამ ჩემმა ქცევამ, ჩანს. აგაშფოთათ

და მიტომ გინდათ ჩამომართვათ სარდლობის ხმალი.

აი, ინებეთ!

თქვენი ხმალი სულ არ მჭირდება...

(ხმალს დაუგდებს ფერხთა წინაშე)

მე საკუთარიც მომეპოვება და ვიცი ახლა

თუ ჩემი ხმალი დღეის შემდეგ ვის ემსახუროს!

(დედოფალი სახტად დარჩა. სხვები მოულოდნელობით გაქვავდნენ. კარნა

ვადის)

გ ა ი ო ზ ი — ეს ამბოხია! დანაშაული!

მ ა რ ლ ა ნ ი ა — ჩვენ გავსწორდებით (ვადის).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჯარნა შეაჩერეთ!

გონს ვერ მოვსულვარ!

მსურდა გამეგო...

ნუთუ რაც თქვა, სიმართლე არის?

მამ მე სადა ვარ?

ციხეში ვზივარ თუ, სასახლეში?

დედოფალი ვარ, თუ პატიმარი?

ჩემი თვალებით თითქოს ბრმა ვიქმენ.

თითქოს დაყრუვდნენ ჩემი ყურები.

არა! ჯერ ისევ დედოფალი ვარ!..

მინდა ვიცოდე! გესმის. ბიძაჩემო! მინდა ვიცოდე...

მოკვლევა მართლა

სურათი მემკვლე

ოთახი სასახლეში, ფარდით დაფარულია დედოფლის საწოლი — სავანე

ასანდა — ბედმა დამსაჯა და მაინც მხნედ ვარ...
ესმა — შენმა მზემ, მეტად მომეწონა, როდესაც ჯარანამ ხმალი

დაუგდო ფერხთა წინაშე!
გაშრა! გაწვილდა დედოფალი!

ასანდა — საქმის ნამდვილი შინაარსი შენ რომ იცოდე...

ესმა — ვიცი, დობილო!
მაია დარჩა გაცრუებული!

(იციან)

ასანდა — აქ რასაც ხედავ, მე მეკუთვნიდა... მაგან წამართვა!

ესმა — სუ! აივანზეა!
ლამე სულ ფხიზლობს, არ ეძინება!
მას ნანა უყვარს... ვეტყვი, იმღერონ!

(გადის)

ასანდა — საკვირველია, რომ წყენის შემდეგ
მეტს გულთბილობას იჩენს ჩემდამი...
მახეს თუ მიგებს, მაგრამ დავასწრებ!
რატომ ვიცადო, ჩემს მაგიერ იძიონ შური?
რატომ ველოდო ან ბიძაჩემს აფხაზეთიდან?
მით უმეტეს, თუ ბიძაჩემი ისეთი არის...
შესაძლო არის იყოს მართლა ქვეყნის ორგული...
გზას თვით გავიკვლევ, ჯარანა ჩემი დამეხმარება...
რასაც შე ვფიქრობ, რაც განმიზრახავს,
ის უნდა ერთმა შეასრულოს — ასეც იქნება!

დედოფალი — (შემოდის)
ჩემო ასანდა! ისევ მე მიცდი?
ძილი გამიკრთა და შენც ფხიზლობ ჩემი გულისთვის!
შენი რჩეული სულ თვალწინ მიდგას...
მე ვაწყენინე, მართალია, მაგრამ დედოფალს
როგორ სასტიკად გადამიხადა...
შენ არ გეგონოს, ვემღურებოდე!

ასანდა — (თავისთვის) ვიცი მიზეზი —
მას შენ ყველაფერს აპატიებ, რადგან ის გიყვარს...

დედოფალი — რა თქვი, ასანდა?
ასანდა — შენი კეთილი გულის მჯერა, უნეტარესო!
ფარდას გადავწევ და მოისვენეთ!

(ფარდას გადასწევს, სადაც საწოლია დედოფლის)

აი ინებეთ!

დედოფალი — არ მეძინება! ჭრაქი ჩააქრე!

(ასანდა ერთ ჭრაქს აქრობს)

— მე მიყვარს, მაგრამ მაქვს თუ არა იმის უფლება,
პირადი გრძნობით ვიხელძღვანელო
და ნეტარება სხვას ჩავუშხამო?! —
ვფიქრობ, სულ ვფიქრობ...
ხან მწარე გრძნობა გულს დამისერავს,
და ხან ოცნება იმედს მისახავს!

ასანდა — (თავისთვის) მაგ იმედს უნდა გამოეთხოვო!
სხვა რას მიბრძანებ?

დედოფალი — ტკბილად მღერიან!
(ჩაცმული წამოწვება).

თუ ჩამეძინა, არ გამალვიძო!
მითხარ ზღაპარი
ზღვის დედოფალზე და მის მიჯნურზე!
მე უფრო ვნანობ, რატომ ავჩქარდი?
ვგონებ, არ ვიყავ სამართლიანი.
მე ვთქვი: მსურს ასე!
მაგრამ სხვასაც ხომ სურვილი აქვს?
რატომ ვაყენებ შეურაცხყოფას?
ასანდა! ტკბილად მღერიან!
ბურანში შესმის... სევდას ფანტავს და მანუგეშებს!
(იძინებს)

ასანდა — იძინე ტკბილად, დედოფალო, ძილი ნებისა!
(თავისთვის)

ისეთი ძილი, გაღვიძება აღარ გელირსოს!
უკვე, უკვე ჩასძინებია!

(ფეხაკრეფით მიდის. ამ დროს ჯარნას მოაცილებს ესმა)

ესმა — ჩუმად, ჩუმად, ფეხაკრეფით!

ჯარნა — შენ წადი, ესმა! მადლობელი ვარ!

მისი ოთახი მე თვითონ ვიცი!

ესმა — ამალამ ნობათზე ასანდა არის...

ჯარნა — ეგ უკეთესი!

უთხარ მარლანისა, ეზოში დამიცადოს!

(ესმა გადის. შეამჩნევს დედოფალს)

რა საბრალო ხარ ამ ხალხის ხელში!

წავალთ აქედან მე და ასანდა. წავალთ სამუდამოდ!

(შემოდის ასანდა დამბაჩით ხელში)

ასანდა!

ასანდა — (შეკრთა). შენ? არ მოველოდი..

ჯარნა — ესმამ მომაცილა!

ხვალ მივდივართ, უნდა მზად იყო!

მივდივართ, სადაც უბრალო ხალხი...

ასანდა — ჯარნა! რად მოხველ? წადი ახლავე...

წადი, ისწრაფე! მე თვით მოგნახავ...

ცხენიც მე მზად მყავს...

ჯარნა — (დამბაჩა შეამჩნია)

ეგ რისთვის გინდა?

ასანდა — ჩუმად!

ფიალა მოთმინების უკვე აივსო...

ალარ მჭირდება ბიძაჩემი, თუ ისეთია...

ეს უნდა მოკვდეს... ჩემი ხელით...

ჯარნა — ასანდა!

ასანდა — ჩემი ხელით!

მან მე წამართვა ყველაფერი...

შენს თავსაც მართმევს.

ჯარნა — ასანდა! ვისზედაც გინდა ხელი აღმართო,

არ არის ბრალში,

მაგის სახელით სხვა მოქმედებს, სხვას კა შენ ვერ სძლევ!

წამო, ასანდა, ახლავე წამო...

ხალხთან, ასანდა!

ასანდა — მე რას მოვიტხოვ განა ისეთს, რომ სამართალი არ მა-

კუთვნებდეს?

ჩემი საუნჯე, ჩემი განძი მაგან წამართვა.

(დაუმიზნა დამბაჩა. ჯარნამ ხელი სტაცა)

ჯარნა — შემდეგ განვსაჯოთ... ახლა წავიდეთ!
არაფერს გარგებს... გადაიფიქრე!

(ცდილობს დამბაჩა ჩამოართვას, მაგრამ დამბაჩა პაერში გავარდება. ასტყდება განვაში. დედოფალი წამოეარდა. შემოდის ოტია. გაიოზ, თელი და მთელი სასახლის ამაღა)

მეღელანი — (შეშფოთებული)

რა მოხდა? რა ამბავია? ვინ ისროლა?

დედოფალი — რა ხმაურია?

კაიოზ — ავაზაკობა! ჰეი დარაჯნო! აქეთ, ჩქარა!

ჯარნა — (ხელში დამბაჩა უჭირავს)

ვაგლახ ჩემს თავს!

ასანდა — დავიღუპენით!

დედოფალი — ჩარგაზია, რისთვის მოსულხარ?

ჯარნა — რა ვუპასუხო?

დედოფალი — ნუთუ ბოროტი განშრახვისთვის?

ჯარნა — მოწმეა ზეცა!

დედოფალი — ასანდა, მითხარ!

ასანდა — ჩემი სიკვდილი!

ოტია — როგორ, როგორ წარმოვიდგინო, როგორ ვიფიქრო, რომ

შენ აქ მოხველ ბოროტგანზრახვით?

დედოფალი — ღმერთო! თქვენ გსურდათ ჩემი მოკვლა!

ჯარნა — იცის ვანკებამ! ეერაფერს ვიტყვი!

დედოფალი — თითქოს ბურანში მესმოდა ჩხუბი...

ერთს სურდა მოკვლა და მეორე მას აჩერებდა.

მე ვინ დამიხსნა?

თქვენში ერთ-ერთი მოლაღატეა,

მაგრამ განგებამ გადამარჩინა!

არა განგებამ! თქვენში ერთ-ერთმა!

ვინ არის მხსნელი?

შენ? ან იქნებ შენ?

ჯარნა! თუ შენ ხარ მხსნელი, ვფიცავ.

ასანდას ვაპატიებ!

ვაპატიებ შენი გულისთვის!

კაიოზი — პატიებაზე ლაპარაკი ზედმეტი არის!

თქვენ შეიძლება მას აპატიოთ,

მაგრამ კანონი ვერ აბატეებს!
აი, უცქირეთ!

(დამბაჩას უჩვენებს)

ტარზე სწერია: „ჯარნა ჩარგაზია“.
მკვლეელი ეგ არის!
გვიბრძანე, დედოფალო!

დედოფალი — მკვლეელი ეგ არის?

გაიოზი — ჰეი, დარაჯნო! შეიპყარით!
(ჯარნას შეიპყრობენ)

ჯარნა — ენა დაბმული მაქვს, ხელი უღონო...

რა მოვისაზრო... არაფერი!.. დუმილი მხოლოდ.
ასანდა!

შენ ბრალში არ ხარ!

დაე, მე ვიყო... შენ კი...

იყავ მშვიდობით!

(ასანდა გაფითრდა. დედოფალი გაქვავდა. ჯარნა ვაჰყავთ)

დედოფალი — ნუთუ? ნუთუ?

გაიოზი — (ასანდას)

შენც საეჭვო ხარ, უფრო მეტად!

შენ ეს იცოდი! წაიყვან და თვალი გეჭიროთ!

სურათი მეხვიდა

ოვე დარბაზი

დედოფალი ღრმად დამწუხრებულა. მასი ამაღაც ღუმს. შემოდის თელი

თელი — ბოდიშს მოვიხდი, დედოფალო,

და შენს კალთას ვეამბორები...

რატომ ბრძანდები მოწყენილი? ნუთუ გაწუხებს

შენი მოძულე მტრების ბედი?

დედოფალი — კიდევ გრძელდება ჯარნას დაკითხვა?

თელი — არა, დასრულდა!

დედოფალი — მერე? მიაბზე დაწერილებით!

თელი — განაჩენს სწერენ!

დედოფალი — რა მოისმინე?

თელი — მე ფარდის უკან გახლდი, დიახ...

ცხადად ვისმენდი!

რასაც ჰკითხავდნენ, ან მხოლოდ დუმდა
ან „არ ვიციო“ უპასუხებდა.
და ისეთს დასკვნას გამოიტანდი,
რომ დამნაშავე ის არის მხოლოდ!
მაგრამ რაოდენ ღირსეულად ეჭირა თავი
რა ვაქცავია და რა სულგრძელი!
დედოფალი — მაშ თანაუგრძნობ მოლაღატეს...
და, ალბათ, გინდა

გული მისდამი მოვიბრუნო და ვაბატო?
თელი — არა, დედოფალო!

მაგრამ იგი თითქოს გულს იპყრობს

და თითქოს გინდა დაივიწყო, რაც დაამავე!

დედოფალი — (გახარებული) თქვი, თქვი, ძვირფასო!

თელი — მაგრამ რაოდენ ამაყია, მიუტარები!

სიყვარულისთვის გულცივი და უგულვებელი!

დედოფალი — (თითქოს გულში უკბინესო, წამოღდა)

ახ! მართალია! გულცივი და უგულვებელი!

თელი — ასანდა არის ერთადერთი, რომელსაც სწყალობს!

დედოფალი — რაო? ასანდა!

თელი — ახლა ის კერპი მას დაემსხვრა და თუ ოდესმე

მან თავის ქცევით რომელიმეს ვულო ატყინა.

ახლა უმეტეს თვითონ არის გულით ნატყენი!

ღირსია ჯარნა დაისაჯოს მკაცრად! სასტიკად!

არც შეიძლება შეიბრალოთ!

დედოფალი — ო, რარიგ, რარიგ გიხარო, რომ უბედურად

ასეთს საშინელს, სავალალო დღეში ჩავარდა!

მის წინააღმდეგ თითქმის ყველა ამხედრებულა!

თუ არის იგი დამნაშავე ვინმეს წინაშე.

უპირველესად ჩემს წინაშე!

შენ რად მოითხოვ იმის დასჯას?

განა აღმართა იარაღი შენს წინააღმდეგ?

განა შენს გვირგვინს ამბოხებით ემუქრებოდა?

თელი — ბოდიშს მოვიხდი! ასე მეგონა,

თქვენს აზრს ვამბობდი, თქვენ გაამებდით!

თქვენ თუ ისურვებთ, დედოფალო, განა რა მოხდა?

თავის საყვარელ მეუღლესთან დამე მოვიდა,

მერე წასვლისას შემოწმდა მან იარაღი

და გაუვარდა სულ შემთხვევით...

დედოფალი — აი, სიძმარტული!

უთუოდ ასე მოხდებოდა! შენ მართალს ამბობ!
უთუოდ ასე იქნებოდა — აუცილებლად —
გაიმეორე! თქვი, თქვი კიდევ...
(შემოდის ოტია)

ბატონო ოტია... ასე! ასე!
მერე წასვლისას შეამოწმა მან იარაღი და გაუვარდა სულ
შემთხვევით...

ალბათ თქვენც ასე იმსჯელებდით...

ო ტ ი ა — იმსჯელეს. შეილო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — მერე? მერე?

ო ტ ი ა — განაჩენი გამოუტანეს...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — რა განაჩენი?

ო ტ ი ა — სიკვდილით დასჯა!

საჭირო არის განაჩენზე ხელის მოწერა...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (ძლივს ლაპარაკობს)

ქვეყნის მსაჯულნი აჩქარებულან... თუ ბრალდებული
არ კისრულობს... რა მოსაზრებით...

ხელში ეჭირა... უნებურად მას გაუვარდა...

როცა ასანდას ეთხოვებოდა...

(შემოდის გაიოზი. დედოფალს განაჩენს წარუდგენს).

გ ა ი ო ზ ი — აი, ინებეთ... მსაჯულთა დასკვნა...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — რა არის ეგ?

გ ა ი ო ზ ი — განაჩენია!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (უყვირებს) განმეორე! (წყნარად) თუ არ მტკიცდებ
თუ საეჭვოა, თუ არ კისრულობს...

მაშ უცბად უკვე განაჩენი? რატომ იჩქარეთ?

გ ა ი ო ზ ი — არც საეჭვოა და არც იკისრებს...

საეჭვოდ თქვენ ხდით,

რომ წარჩინებულს ხეზე ჰკიდებს. გლახს ათარეშებს!

იჩქარეთ, ხელი მოაწერეთ,

თორემ ხვალ უკვე გვიან იქნება!

ბრბო მხოლოდ მაგან მიუსია დიდგვაროვანებს!

ბასაიასთან ფიცი მიიღო...

და შესაძლოა,

ჩამოგართვას უკვე ხვალ ტახტი...

მე თუ ვიჩქარი, თქვენი გულისთვის!

მე მაკისრია თქვენი ტახტის კეთილდღეობა

და დღეს მოთხოვნა ჩემი უნდა დაადასტურო!

აუცილებლად საჭიროა ხელის მოწერა,

რათა ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთილ იქნას

და ამ თქვენ ტახტზე განაგებდეთ დამშვიდებული.
დაუყოვნებლად საჭიროა, დაუყოვნებლად.
თუ კიდევ ეჭვობთ, ნება მიბოძე.
რომ დაგარწმუნოთ საბოლოოდ...

(იძახის)

ჰეი, შემოიყვან!

(შემოჰყავთ ჯოდოლი)

აი, ეს ყმაწვილი ჩარგაზიას მეგობარა! — თვითონ აფხაზი —
მობრძანდი, ჯოდოლი! დედოფალს ასიამოვნეთ,
სურს მოგისმინოს, როგორ იმგზავრე!

ჯ ო დ ო ლ ი — არა მგონია, ცუდი იყოს, თუ ჩარგაზიამ
მთხოვა და წაველ აფხაზეთში. რომ იქ მენახა

მისი ძვირფასი მეგობარი ჩაგუ შარუხია!

სადაც იწყება აფხაზეთი, მცველები დამხვდნენ.

მოიბოდიშეს, პატივი მცეს — დამათვრეს კიდევ —

და ისევ უკან დამაბრუნეს ამ პატივცემულ ბედიასთან...

გ ა ი ო ზ ი — ხომ არაფერი გაგატანა გადასაცემად...

ჯ ო დ ო ლ ი — თქვენ აქი ნახეთ. აი, ეს წერილი...

ალბათ, მოკითხვის წერილია... აი, ინებეთ!

გ ა ი ო ზ ი — (წეროს ჩამოართმევს და დედოფალს აწვდის).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — თქვენ წამიკითხეთ...

გ ა ი ო ზ ი — მე ნუ მენდობით!

ო ტ ი ა — მომეც აქ!

(ჩამოართმევს და კითხულობს)

„ენდე ჯოდოლის, ჩემს რწმუნებულს“.

ჯ ო დ ო ლ ი — დიახ, ჩემს ბატონს ასე ვუყვარვარ...

ო ტ ი ა — „ნახე შელია (ჩუმად კითხულობს).

(წერილი გაუვარდა ხელიდან)

კიდევ მქონდა რაღაც იმედი... ვაგლახ! ვაგლახ!

(გაღის. გაიოზი კითხულობს)

გ ა ი ო ზ — „ნახე შელია, ასანდას ბიძა. მოვიდეს ჩემთან! ჩემი
ჯარით სასახლეს დავეცემით და ტყვედ შევიპყრობთ
დედოფალ მაიას...
ჯარნა ჩარგაზია“.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (ელღანაცემი წაბარბაცდა)

ჯ ო დ ო ლ ი — გაგიჟებულა ჩემი ბატონი!

გ ა ი ო ზ — (დედოფალს განაჩენით მიუახლოვდება).

დედოფალი დგას გაქვავებული

სიკვდილით დასჯა!
განაჩენს უნდა ხელის მოწერა!

(დედოფალი ღუმს. ხელის კანკალით კალამს ჩამოართმევს.
ფიქრის შემდეგ კალამს გადაისვრის).

დედოფალი — ხვალ მომიტანე!

გაიოზი — ხვალ, დედოფალო, გვიან იქნება!

დედოფალი — კეთილ ინებე შეასრულე ჩემი ბრძანება!
მიბრძანდი!

(გაიოზი გადის)

არა მესმის—რა! ვერც წარმოვიდგენ...

არ შეიძლება ასეთი მტრობა,

როცა არა ვარ მის წინაშე მე დამნაშავე...

ეს კარგად იცის... თუმცა ვინ იცის...

რატომ არ ითხოვს პატიებას? საკმარისია

გამომიგზავნოს ის ბეჭედი, მე რომ მას ვუძღვე...

მაგრამ არ გზავნის... რატომ?

ჩანს, მართლაც დიდად დამნაშავეა!

მოქმედება მსხუთა

კურათი მირმე

ციხე-საპატიმრობო

ამია კორძაია — (რკინის მოაჯირიან კარებს მოადგება)

აუ! ჩემო ჩარგაზია!

ენგურს გადაპყურებ და ფიქრებს ეძლევი?

მე შენი უფროსი გელაპარაკები!

თუმცა გუშინ შენ იყავ უფროსი, მაგრამ, ხომ ხედავ,

ყველაფერი წარმავალია!

რატომ არაფერს თხოულობ?

არ გინდა გამომცადო მაინც, რა გულის პატრონი ვარ?

ჯარნა — კარგი გულის პატრონი, გიცნობ, მამია!

მაგრამ რაზედ შეგაწუხო? რა შეგიძლიან?

ამია — ყველაფერი, მე არ მოგიკვდე!

რაც კი ციხის კედლებში შესაძლებელია!

მე, მართალია, ციხის უფროსი ვარ, მარა ადამიანის

შემცნობი!

ღმერთმა დასწყევლოს ჩემი ხელობა!

აი, სულ მალე აივსება ჩემი ციხე პატიმრებით!

გაიოზმა ჯარი გაგზავნა აჯანყებულ გლეხების

წინააღმდეგ!

ქვეყანა აირია! თავადებს არბევენ.

მართალია, პატიმრად ბრძანდები, მარა, თუ მოისურვებ,

შემიძლიან სამსახური გაგიწიო,

დასტურ, ჩემო ჩარგაზია, არეული დროა!

თურქი მოვიწორეთ და სახლში ომობენ!

ჯარნა — რამე ამბავია?

ამია — ერთი თავადი და ორი აზნაური დაუბრუნებიათ!

სახლ-კარი გადაუწვიათ!

ჯარნა — მამია! მაშ ვიმხიარულოთ! რა შეგიძლიან?

ამია — ჩამოქვეითებულ სარდალს და მე, — რაც გვეკადრება!

ერთი ძველი ნათქვამი მომისმინე!

„რაა გვირგვინი? სამკაული! სხვა არაფერი!

იგი ვერ შესძენს ცარიელ თავს გონიერებას!“

ხომ კაი ნათქვამია?

ეს უთქვამთ ძველად თავქარიან გვირგვინოსნებზე!
მაინც და მაინც არც მიაა გახლავს ჭკვიანი დედოფალი!

ჯ ა რ ნ ა — შენც მაგას ამბობ?
მ ა მ ი ა — მე მხრებზე თავი არ მაბია თუ?
რასაც ოტია აკეთებს, გაიოზი ანგრევს!
დედოფლის ჭკუა ვერ მიმხვდარა: ან ერთს რა სწადიან,
ან მეორეს...
კიდევ მოგვეპოვებიან ისეთი თავადები,
რომლებიც ნანობენ: თურქები რატომ გავდევნეთ, ყმები
ველარ გაგვიყიდიან!
გაიოზიც ამ აზრის ბრძანდება!
რა ვუყოთ! რომ დედოფლის მსახური ვარ, სიმართლეს ვერ
დავფარავ! უსამართლობა ჩემს გულში არ სწერია!
გამხიარულდი!

(წაიმღერებს, უნდა ჯარნაც აიყოლოს)

შენ ხომ კარგად მღერი, რატომ მეორეს არ მეუბნები?
ჯ ა რ ნ ა — შენთან კაცი არ მოიწყენს, ჩემო მამია!
მ ა მ ი ა — „წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა
დარჩება“...

ჩვენც დავშორდებით ერთმანეთს.
მერე მეც წავალ, და ჩემი მომგონებელი იქნება
ჩემი მაგინებელი, თითქოს ეს ციხე მე ამეშენებინოს!
ჯ ა რ ნ ა — მამია, თანახმა ვარ, მოდი გავერთოთ!
მ ა მ ი ა — ოღონდ შენ დამავალე!
ჯ ა რ ნ ა — მაგრამ რით?
მ ა მ ი ა — რაც ახარებს გულსა კაცისასა — უთქვამს ხუცესს!
ღვინით და პურმარილით!

შენ გგონია, შენ აქ მარტო ხარ?
ჯოდოლი და დუღუ მარღანია აქვე გვერდზე სხედან.

ჯ ა რ ნ ა — ჯოდოლიც?
მ ა მ ი ა — რა დაგეშართა?
ჯ ა რ ნ ა — ჯოდოლიც შეიპყრეს?
მ ა მ ი ა — გნებავეს, სულ შენთან ვამყოფებ, სანამ დაშორდებით!
ჯ ა რ ნ ა — კარგი! კარგი! მაჩვენე ჯოდოლი!
მ ა მ ი ა — ორივეს მოგიყვან, შენ შემოგველე!

(გადის)

ჯ ა რ ნ ა — თუ შეიპყრეს და მას უნახეს ჩემი წერილი!
კიდევ ბრალდება საშინელი და ვითომ ცხადი!

ვინ დამიჯერებს, რომ მე მქონდა სხვა მოსაზრება?
ერთხელ ვიცრუე დიდი საქმის განსამტკიცებლად
და ეს უმეტეს ახლა ჩემთვის დამლუპველია.
ვაშასადამე, მართალ საქმეს ავნებს სიცრუე!

(შემოდინა: მამია, რომელსაც ლენო და ხაჭაპურები მოაქვს.
ჯოდოლი და მარღანია)

ჯოდოლი. შეგიპყრეს?
ჯოდოლი — ბატონო ჩემო! რატომ არ გამაფრთხილე მაინც?
ჯ ა რ ნ ა — ჩამოგართვეს? წერილი ჩამოგართვეს?
ჯოდოლი — მცოდნოდა მაინც, შიგ რაც ეწერა!
ხომ უნდა მცოდნოდა, თუ რწმუნებული ვიყავ!
ჯ ა რ ნ ა — ეგეც ჩემი წინდაუხედაობა! შეცდომა!
მემღუტრი?
ჯოდოლი — აწ გვიან არის! რატომ უნდა დაგემღუტრო? განზრახ
არ გიქნია!
მ ა რ ლ ა ნ ი ა — ძმა ძმისთვის, შავი ღლისთვის!
მაშ მეგობარი რას მიქვიან, თუ მეგობარი
გაშლილ სუფრაზე მარტო ლხინში გამომადგება?
მშვამს მეგობარი
თავგანწირული ერთგულებისთვის!

(ჩარგაზიას გადახვევა)

ჯოდოლი — მე თქვენ ორივეს თავს შემოგველეთ.
(ორივეს ხელებს გადახვევს)

ჯ ა რ ნ ა — მე დავუშვი დიდი შეცდომა
და ის შეცდომა ჩვენთვის არის საბედისწერო!
მ ა მ ი ა — ძამია, იცი რა თქვა ჩვენმა ხუცესმა? ღმერთი შეცდა.
რომ გაიოზ ბედია გააჩინაო. აბა! თუ ღმერთი შეცდა,
კაციც შეცდება!
აბა, დალიე, ოჯალეშო!

(სვამენ)

ჩვენისთანა მგალობლებს ვერ ნახავ
მარტვილის მონასტერში!
ჰე, აბა, მე წამოვიწყებ:
(მღერის, სხვებიც აჰყვებიან)

დასხდებიან ჩვენი მტრები,
ჩვენსა საქმეს განაგებენ;

იტყვიან და ვერ განსჯიან,
აზრს უკუღმა ალაგებენ;
და მახვილსა ამოღებულს
ისევ უკან ჩააგებენ!

(ამ დროს ირეკება ზარი)

რალაც ნიშანს მაძლევენ!
ან დიდი ადამიანი მესტუმრა,
ან დიდი ადამიანი მოაბრძანეს საპატიმროში!

(მამია გადის, მოაცილებს ოტიას)

ო ტ ი ა — ძალიან ვწუხვარ... მაგრამ რას ვიზამ?
მე დამავალეს გამოგიცხადო!
ქვეყნის ხუცესთა და მსაჯულთა ბევრი იმსჯელეს!
პირადად მსურდა,
არ ყოფილიყო მკაცრი სასჯელი...
მაგრამ... ამოოდ!
მწარე ბედს უნდა შეურიგდე...
— მიმძიმს წარმოთქმა —

გადაგიწყვიტეს დასჯა... სიკვდილით!

მ არ დ ა ნ ი ა { სიკვდილით?!

ჯ ო დ ო ლ ი }
ო ტ ი ა — ხვალ მოიყვანენ სისრულეში და...

მოემზადე!

მხოლოდ მე შენთან წინასწარ მოველ...
იქნებ სათქმელი რამე დაგჩა, რაც შენ გამართლებს!
მიტხარ! გამანდე!

ჯ ა რ ნ ა — ვერაფერს გეტყვი!

(ჯოდოლის და მარღანას)

ო ტ ი ა — თქვენ — გეპატიათ!
დამნაშავე არაფერში ხართ!
მხოლოდ ციხიდან ჯერ ვერ გახვალთ!
აკრძალულია საიდუმლოს გარეთ გატანა!

ჯ ა რ ნ ა — მაშ, დედოფალმა მოაწერა ხელი განაჩენს?

ო ტ ი ა — რა ძალა შესწევს? რა დარჩენია? ისიც მოაწერს!

ჯ ა რ ნ ა — და რომ მე არ ვარ დამნაშავე?

ო ტ ი ა — სულით და გულით გერწმუნებოდით!

და მოხარულიც ვიქნებოდით, მაგრამ საბუთი
და ბრალდებანი შენს წინააღმდეგ
შენს დანაშაულს ღალატებენ ფრიად უტყუერად!
განა წერილი შარხუხას შენ არ მისწერე?

ჯ ა რ ნ ა — დიახ, მივწერე!

ო ტ ი ა — დამბაჩით ხელში შენ არ გნახა თვით დედოფალმა?

ჯ ა რ ნ ა — დიახ, მნახა!

ო ტ ი ა — იმ დამბაჩაზე

განა არ არის ამოჭრილი შენი სახელი?

ჯ ა რ ნ ა — დიახ, არის!

ო ტ ი ა — მაშ ყოფილხარ დამნაშავე!

ჯ ა რ ნ ა — თუ მამბრალეებენ მოკელის განზრახვას,
თუ მამბრალეებენ მოღალატესთან რაიმე კავშირს —
არა, არა ვარ დამნაშავე!

ო ტ ი ა — რასაკვირველია!

მაშ, როგორ მოხდა, რომ წერილი ჩვენს მტერს მისწერე?

ჯ ა რ ნ ა — მაგას ვერ გეტყვი!

ო ტ ი ა — რა სასწაულით აღმოგაჩნდა ხელში დამბაჩა?

ჯ ა რ ნ ა — უბედობით!

ო ტ ი ა — თუ უბედობა საბუთად მოგყავს,
არ შეგვიძლია ჩვენ ვერწმუნოთ მაგანი საბუთის!

ჯ ა რ ნ ა — მე არა ვნადვლობ, რომ დაგბრუნდი ჩემს სამშობლოში,
იმას კი ვნანობ, რომ სამშობლოს მე ის ვერ ვარგე, რაც
ნატვრად მქონდა...

ბატონო ოტია!

ვიცი, ქვეყნისთვის გული შეგტკივა,

ეს უთქვამს ჩემთვის დედოფალსაც...

ჩვენი ქვეყანა მუდამ ვერ შესძლებს

ურიცხვი მტერი მოიგერიოს,

როცა ის ასე მარტოდ არის და მოკავშირე

არ გააჩნია...

ო ტ ი ა — ვიცი, ჯარნა, რაც გინდა მიტხარ!

გადაარჩინე შენი თავი მაგისტვის მაინც

და აღიარე დამნაშავე, თუ სხვა ვინმეა.

ჯ ა რ ნ ა — მაგას ნუ მკითხავ...

ო ტ ი ა — რაკი არ ამბობ, სხვა ვინ იყო, რომ მას მოვთხოვოთ,

პასუხი უნდა შენ თვითონ აგო შენი სიცოცხლით!

ჯ ა რ ნ ა — ჩემი სიცოცხლით!

ერთი თხოვნა მაქვს...

ერთი თხოვნით შეგაწუხებდი...
ო ტ ი ა — ბრძანე, თუ შევეძელ!
ჯ ა რ ნ ა — ბრძენი კაცი ხარ და გაიგებ ამ თხოვნის სიღრმეს.
ნება უბოძეთ ჩემს ასანდას, რომ სიკვდილის წინ მნახოს
ციხეში უკანასკნელად!

ო ტ ი ა — (შეწუხდა)
ძალიან ვწუხვარ... მაგრამ... თხოვნას ვერ შეგისრულებ!
ამის მიზეზი ის გახლავს, რომ ხვალ შენი დასჯა
უნდა შესრულდეს საიდუმლოდ. გაუმჟღავნებლად.
რადგან ისედაც ხალხში შფოთია
და შფოთის ერთ-ერთ მეთაურად გასახელებენ!
ასულს ასანდას არ ენდობიან...
რომ შენ ის ნახო...
მამ შეურიგდი შენს მწარე ხვედრს და მოემზადე!
ამიერიდან ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდებით!

(ცრემლებს იწმენდავს)

ჯ ა რ ნ ა — მე არასოდეს იმედს არ ვკარგავ!

ო ტ ი ა — ეგ იმედი გაგმართლებოდეს...

გეთხოვები გულდაწყვეტილი

(გაღის)

ჯ ა რ ნ ა — იქნება მართლაც ჩვენ ველარ შევხვდეთ...

ახლა თქვენ წადით... მე წერილს დავწერ

და ჩემს ასანდას შენ წაუღებ, ჩემო ჯოდოლი!

მ ა რ ლ ა ნ ი ა — ღამე შევიძლებ ციხიდან გასვლას

და ხალხს ვაცნობებ...

ჯ ო დ ო ლ ი — დასტურ, მართალს ამბობს... გავშვებით ამ ღამეს!

ჯ ა რ ნ ა — ველარ მოასწრებთ... მცირე რაზმი თუნდაც შეკრიბათ

მომზადებული გაიოზი, მთლად ამოხოცავს...

მ ა რ ლ ა ნ ი ა — მამ ჯალათს მიგცეთ?!

ჯ ო დ ო ლ ი — ეგ არ მოხდება! კორძია გაგვიშვებს ციხიდან!

ჯ ა რ ნ ა — თქვენ გინდათ, რომ ერთს ათასი შეეწიროს...

და ის ერთიც, საეჭვოა, თუ გადარჩება!

წადით ვიფიქრებ! — შეგატყობინებთ.

(ჯოდოლი და მარლანია გადიან. ჯარნა სანთლის პუქში
წერს წერილს. შემოდის პირბადით შებურვილი ქალი).

ქ ა ლ ი — ალბათ ასანდას წერილსა სწერს...

(ყრუ ძახილით)

ჯ არნა

ჯ ა რ ნ ა — ვინ ხარ შენ?

ქ ა ლ ი — ნუ მიმიღებ მე მოჩვენებადი
და ნურც იკითხავ ჩემს ვინაობას,
ვარ ვინმე ქალი, ვისაც კარზე პატივსა სცემენ
და მოველ ვიხსნა!

აი, ეს გასაღები ამ ციხისა

და ისარგებლე!

შენი სიცოცხლე გადაარჩინე,

რომელიც ჩემთვის ძვირფასი არის!

ჯ ა რ ნ ა — მე თითქოს მართლაც ბედნიერი ვარ.

რადგან მე იგი მანთავისუფლებს,

ვინც მოაწერა განაჩენს ხელი...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — მიცნო!

ჯ ა რ ნ ა — მიჩვენე ნამდვილი სახე!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ნუ მთხოვ პირბადე ჩამოვიცილო!

ჯ ა რ ნ ა — მე მსურს დედოფალს ველაპარაკო!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — რაც ვარ მე ახლა, შემდეგ იგი აღარ ვიქნები,

მაგრამ რაკი გსურს, მოვიხსნი საბურს...

მხოლოდ ჯერ უნდა მიიღო ჩემგან ეს გასაღები!

ეს მიგანიჭებს შენ სიცოცხლეს — ამას გთავაზობს

მოსიყვარულე ქალის გული და რასაც ახლა

შევიძლებ შენთვის, იქნებ შემდეგ ველარ შევიძლო

მიიღე-მეთქი!

ჯ ა რ ნ ა — (გასაღებს ჩამოართმევს)

დიდი მადლობა მომიხსენებია!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — სახე პირბადით მე მეკუთვნოდა.

ხოლო ეს სახე

(პირბადეს იხდის)

არის დედოფლის!

ვისთანაც წელან შენ საუბრობდი.

ის აღარ არის შენს წინაშე...

ჯ ა რ ნ ა — ეგ უკეთესი!

ჩემი სიმართლე მინდა ვუთხრა ჩემს ხელისუფალს

და მოვახსენო: არ მეკუთვნის სიკვდილით დასჯა!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ჩვენი კანონის წინაშე თუ დამნაშავე ხარ?

ჯ ა რ ნ ა — არა! არა ვარ!

ესოდენ დიდი ამაგი მაქვს ქვეყნის წინაშე.

რომ თქვენ პირადად პატიება შეგეძლოთ ჩემი.

დედოფალი — მე არა ნაკლებ მიფიქრია იმ შენს ამავზე...
ჯარნა — მათ მოეჩვენათ, თითქოს ვიზრახე, მაგრამ ცდებიას

დედოფალი — მსაჯულთ ეკითხოს!
ჯარნა — თქვენ თვითონ განა მსაჯული არ ხართ?

დედოფალი — ნეტა იცოდეთ რაოდენს ტკივილს განიცდის გული.
ნეტა იცოდეთ, რა უძლური ვარ.

მოსიყვარულე ქალის გულმა შენ გზა გაგიხსნა!
ჯარნა — ამ გასაღებით?

ის გზა, რომლითაც ამას მიყვავარ,
არის სირცხვილის და ნაძრახობის!

დედოფალი — განა არ კმარა, რომ მე შენზე კარგი აზრის ვარ?

ჯარნა — კარგი აზრისა ჩემზე უნდა თვით ხალხი იყოს!

ამ გასაღებით, ამ წყალობით კი
ვერ მოვიპოვებ დაკარგულ სახელს.

დედოფალი — სიდან შეიქმნა მაშ ბრალდებანი?

ჯარნა — აი, მაგ მიზეზს მე რომ არ ვამბობ,
მარტო მაგისთვის ძალგიძთ დამსაჯოთ!

(სარკმელს აღებს)

დედოფალი — რას სჩადი, ჯარნა?

ჯარნა — არა გაპარვა!.. დაე, ასრულდეს
სიკვდილით დასჯა!

(გასაღებს გადაადგებს)

წაიღოს იგი ენგურის წყალმა!

დედოფალი — ეგ რა სიგიჟე ჩაიდინე?

ჯარნა — ამ გულს უფლება ექნება, რომ თქვას სიკვდილის წინ.

ვტოვებ დედოფალს უმართებულოს
და თუ არ გინდა მოისმინო ეს საყვედური,

მაშინ შენ უნდა სხვა გზა გენახა ჩემს დასახსნელად!

დედოფალი — (სასოწარკვეთილი) რომელი გზა,
რომ იმ საბუთით შენ გაგამართლო?

— მაღლობის გრძობამ და ქალის გულმა
რაც მიკარნახა,

მე, დედოფალმა, დავძლიე და შემოგთავაზე,

მაგრამ კანონმა რაც გადაწყვიტა.

მისი დარღვევის არ შემწევს ღონე

და მაპატიე!

გულს არ უნდოდა განწირულიყავ..

პირველიდანვე შენ ვერ მიმიხვდი,
რომ შენთვის ვიყავ და დღესაც შენ ხარ,
ვისაც ვცემ პატივს, თუმცა შენ ჩემთვის,
როგორც ამბობენ, ავი იზრახე...

შენ ვერ ამჩნევდი, რომ დედოფალი შემოგხაროდა.
რომ მთელის გრძობით შეპყრობილ ვიყავ,
რომ მხოლოდ შენთვის...

— ღმერთო ჩემო, ამას რას ვამბობ? —

აღიძრა გული, მოგიტანე ის გასაღები.

რად გადაადგე?

რატომ არ იხსენ შენი სიცოცხლე,

თუნდაც იმიტომ,

რომ იქ ასანდა გელოდებოდა!

განა შენს სახელს იმდენი რა დააკლდებოდა.

რომ არ დაზოგე ვისაც უყვარხარ...

ვისაც სიცოცხლე შენი ახარებს?

რატომ ის მაინც არ შეიბრალე?..

ჯარნა — ქურდულ გაპარვას არც ასანდა მომიწონებდა.

დედოფალი — მას ხომ უყვარხარ...

ჯარნა — კეთილშობილი საქციელისთვის!

დედოფალი — მაშ მაპატიე!

ვწუხვარ და გული შემომტირის!..

მინდა დაგიხსნა, მაგრამ ხედავ რა უძლური ვარ!

ო, აღარ ძალმიძს...

(ტრემლს იმაგრებს)

მშვიდობით, სამუდამოდ...

(ხელსახოცს იფარებს და სწრაფად გადის).

სურათი მაცხრა

ღარბაზი

გაიოზი — ახლავე თუ არ მოაწერა განაჩენს ხელი.

საქმე რთულდება, შფოთი მატულობს!

აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯარი გავგზავნე;

ჯარნას სიცოცხლე ჩვენთვის ახლა სახიფათოა!

ოტია — თავი დამანებე, გაიოზ, თავი!

გ ა ი ო ზ ი — კარზეა-მეთქი განსაცდელი
ო ტ ი ა — მე ჩემს სინდისთან პირნათლად ვარ!
განსაცდელისა მას ეწინოდეს,
ვინც იმ განსაცდელს სხვას უშაბდებდა!

(გადის. შემოდის თელი).

გ ა ი ო ზ ი — ბებერო, შენც მალე მოგიშორებ...

თ ე ლ ი — გაიოზ!

გ ა ი ო ზ ი — თელი, სად ხარ?

თ ე ლ ი — მე ხომ გამგზავნა დედოფალმა ჩარგაზისთან!

გ ა ი ო ზ ი — ვიცი, მერე?

თ ე ლ ი — ჯარნა მე ვნახე და გავახსენე,

რაც დედოფალმა დამავალა...

გავახსენე ბეჭედი, მაგრამ უარი მითხრა!

გ ა ი ო ზ ი — წადი, დედოფალს მოახსენე, რომ ღირსად არ სცნობს
სთხოვოს რაიმე შეწყალება და არც ბეჭედი
გამოუგზავნა!

და ესეც უთხარ რომ მას, დედაკაცს, მასხარად იგდებს...

აშარს ეძახის და უზნეოს — ეს უთხარ მკაცრად,

რომ თმებს იგლეჯდეს სიბრაზისაგან.

აბა, მაშ წადი! მოიცა, აგერ!

აქეთ მოდიან?

(შემოდინ: დედოფალი, ოტია და აშალა).

დ ე დ ო ფ ა ლ ი — თელი, ძვირფასო!

მაშ ინახულე? მითხარი ჩჭარა!

თუ ვახსენე, რა თქვა, მითხარ!..

რა შემოთვალა?

თელი, რად დუმხარ?

გ ა ი ო ზ ი — საქმე რთულდება, დედოფალო, საქმე რთულდება!

დ ე დ ო ფ ა ლ ი — თელის აცალე...

გ ა ი ო ზ ი — თუ არ ისურვებ ხელის მოწერას.

მაშინ გვიბრძანე და კარს გავუხსნით,

მხოლოდ კი ვიტყვი:

უნდა სამარე გავითხაროთ ჩვენივე ხელით!

და წინასწარვე გავაუქმოთ ჩვენი წოდება!

ერთი მიბრძანე, რაღა არის კიდევ საეჭვო?

მას მოკვლა სურდა დედოფლისა! ეს ცხადი არის!

მას კავშირი აქვს შელიასთან! — ესეც ცხადია!

ეს ხეზე ჰკიდებს შენს ერთგულებს
და ხელმძღვანელობს აჯანყებას! — ესეც ცხადია!
იქნებ მიზეზი სხვა რამ იყოს, რომ მას მფარველობ
(უტიფრად)

თურმე ის ამბობს, ვითომ შენ გიყვარს...

ვითომ ბეჭედი მიგიცია და ელოდები...

მაგრამ პასუხად, აი, ჰკითხე რა შემოთვალა...

მოახსენე! (თელი ხმას არ იღებს) არ გესმის, თელი?

თ ე ლ ი — დიახ, დედოფალო...

იგი იმდენად ამაყია და გულზვიადი.

რომ არ ინება...

გ ა ი ო ზ ი — რა დაგაბარა, ის მოახსენე!

თ ე ლ ი — მან დამაბარა... რომ... არ ვიცი...

გ ა ი ო ზ ი — ხედავთ, ენას ვერ წარმოუთქვამს...

ის თქვენ გეძახით, მაპატიეთ, აშარს, უზნეოს...

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (აგერ მკაცრად, მერე მოტეხილი).

გაიოზ, მაგას არ იტყოდა!..

ო, დავიღალე და აღარ შემიძლიან...

მაგას არ იტყოდა!

გ ა ი ო ზ ი — დამიდასტურე... რომ შენ გითხრა! დამიდასტურე!

(ანიშნებს თქვას სიცრუე)

თ ე ლ ი — დიახ, დედოფალო!

მან თქვა: უზნეო და აშარი... დედაკაციო.

დ ე დ ო ფ ა ლ ი — ოხ, კმარა! კმარა! კმარა!

გ ა ი ო ზ ი — იმ გლეხს, უტიფარს. კარს გავუხსნი.

ოლონდ მიბრძანე!

და თუ გვაცოცხლა...

ჭუჭყიან კალთებს დაფუკოცი! აბა, სხვა რა ვქნათ?

დ ე დ ო ფ ა ლ ი — (გონებადაკარგული)

მომიტათ განაჩენი! მან არ ისურვა... მან არ დაზოგა

სხვისი გული... ვფიცავ, არ შსურდა განწირულიყო...

და თუ ხელს ვაწერ, საკუთარ გულის სიკვდილზე ვაწერ...

თელი! მან ჩემზე ნუთუ თქვა მართლა?..

და თუ იგონებ, მისი ცოდო შენ მოგეკითხოს...

ვიყო მე ღვთისგან პატივებული...

(თითქმის გონებადაკარგული აწერს ხელს. გაიოზს გადასცემს. იგი

სწრაფად გადის)

საყვედურით რად მიცქერ, ოტია!

თქვი და მამხილე, თუ მოვიქვც უმართებულოდ!
ო, აღარ ძალშიძს... (გაღის. ოტია მისდევს)

სურათი მათე

იგივე დარბაზი

ჯოღოლი — მე ეს წერილი ასანდასთან გამომატანა!
ნეტა რას წერს? ალბათ, ეთხოვება სამუდამოდ!
საბრალო ჯარნა! საბრალო ასანდა!
არ სჯობია, ვიცოდე რას სწერს?
კიდევ არ ჩავეარდე ცეცხლში.

(წერილს კითხულობს. ადგილ-ადგილ იძახის:
„სული მუხუთება“, „ეს რა გავიგე“, „დედაჲ,
დედა“. შემდეგ ჩერდება, ფიქრობს და იყვირებს)

დედოფალო! დედოფალო!
რის ასანდა! დედოფალს შეეხება!
ჰეი, მიჩვენეთ დედოფალი! ჩქარა მიჩვენეთ!

(შემოდის ამაღა. შემოდის დედოფალი).

დედოფალი — რა ამბავია? ვინ ყვირის სასახლეში?
ჯოღოლი — დედოფალო! აი, ეს წერილი! ჩარგაზიამ დამავალ-
ასანდას გადაეცია! ბოდიში რომ წავიკითხე — კიდევ რწმუ-
ნებულად ხომ არ ვარ მეთქი და... თქვენ შეგეხებათ.

დედოფალი — (კითხულობს)
„მშვიდობით, ჩემო ასანდა! შენდამი სიყვარული მავალეზდა
გავჩუმებულიყავ და არ გამეცა შენი საიდუმლო ზრახვები.
ბიძაშენს იმითმ მივწერე წერილი, რათა ხელში ჩამეგდო,
როგორც საქართველოს მოღალატე! მე რომ ის შემეპყრო,
ჩვენ ყველანი ბედნიერნი ვიქნებოდით.
მისი ბრალია, რომ შენ გინდოდა მოგეკლა დედოფალი, მაგ-
რამ მე ხელი შეგიშალე. ესოდენ ძლიერია ჩემი სიყვარული,
რომ ვკვდები მოღალატის სახელით. თუ შენი სიყვარულიც
ჩემდამი ისევე ძლიერია, იძიე შური და მოსპე ბიძაშენი... სამ-
შობლოს მოღალატე...“

(დედოფალს სული ეხუთება, შემდეგ გონს მოდის)

ჩქარა კაცები! ჩქარა აფრინეთ! სად არის ოტია!
ჰეი ჩქარა!

ქაწვილო კაცო, ფრთები შეისხი.
კარის დარაჯნო! წადით სასწრაფოდ!
უთხარით ოტიას! უთხარით გაიოზს.
აი, ბეჭედი...

(აძლევს ბეჭედს)

შეაჩერონ სიკვდილით დასჯა! შეაჩერონ!
აქ მომიყვანეთ იგი ცოცხალი.
ჩქარა! ჩქარა!

(ჯოღოლი და მცველები კადიან)

მართალი ადამიანი განწირული ერთგულებისთვის!
რომ ვერ მიუხსრონ? რომ ვერ იჩქარონ? ვაგლახ მე მაშინ!
მე მოვკალ იგო, ჩემი ერთგული!..

(იჩოქებს)

წმინდაო მარიამ! დედაო წამებულო!
როდესაც ძე შენი ჯვარზე გააკრეს,
ხომ ხსნა გინდოდა?..
მეც ვიტანჯები და ვადმომხედე...
დაბრკოლება აღმოუჩინე!
ხელი შეუშალე!
გზა შეუბორკე...
ნუ დაისჯება მართალი კაცი!

კორძაია — (ყვირილით შემორბის) დედოფალო!

დედოფალი — ვინ ყვირის?
ვინ მიხმობს გამწარებული?
ციხის უფროსო! ნუთუ დასაჯეს?

კორძაია — მოღალატე ვარ!

დედოფალი — გეკითხები: უკვე დასაჯეს?

კორძაია — ინებეთ ხმალი! (ხმალს იხსნის)
მე თქვენს წინაშე დამნაშავე ვარ,
რადგან ბრძანება არ შევასრულე...

დედოფალი — ო! გამაგებინე, რას ლაპარაკობ?

კორძაია — ბასიას მეთაურობით ციხეს ხალხი შემოერთყა.

მე რაც სინდისმა შთამაგონა, ისე მოვიქვც!
რადგან ვიცოდი, მისი დაღუპვა არც თქვენ გინდოდათ!
დედოფალი — (წერვიულად)

კორძაია, არა მესმის-რა! დასაჯეს ჯარნა?

კორძაია — ხალხს და ჩარგაზის გავუხსენ ციხის კარი!
დედოფალი — ბედნიერო და კეთილო! შენ კარგო ადამიანო!
მითხარ, რით დაგაჯილდოვო!

(შემორბის გაიოზი, შემდეგ ოტია)

გაიოზი — აი, მოლალატე!
აი, ვინ, გაუხსნა კარი აჯანყებულებს.
საზიზღარო!

(ხანჯალს იშიშვლებს და კორძაიასკენ გაექანება.
მაგრამ დედოფალი შუაში ჩაღვება).

დედოფალი — შეჩერდი! ჩამოართვით ხანჯალი; ავო! უმადურო!
ვერაგო!

შენ ხარ მოლალატე! შენ ხარ საზიზღარი!
ოტია — დედოფალო, თავს უშველე!
მოდის აჯანყებული ხალხი...
შურს იძიებენ, თავს უშველე!

დედოფალი — (თავგანწირული) იძიონ შური!
რად გადაიქცა სიბრძნე თქვენი შურის ძიებად
და რად მოშხამეთ ტკბილი სიცოცხლე?

ოტია — დედოფალო, მე რა ბრალში ვარ?

დედოფალი — (გაიოზს) ო, შენ უგულო ადამიანო!
სხვას რომ სამარეს უმზადებდი, რად არ ფიქრობდი
ბედის უკულმა მოტრიალებას?
რად არ ფიქრობდი, შესაძლო იყო
იმ სამარეში თვითონ შენვე შთავარდნილიყავ

გაიოზი — (სარკმლიდან)

ჩაკეტეთ გალავანი, მეციხოვნენო!

დედოფალი — არა! გახსენით გალავანი, მეციხოვნენო!
მოვიდნენ! მათი განაჩენი სამართლიანი იქნება!

(გარეთ ბრძოლა. შემოიჭრება ბასია)

ბასია — დამშვიდდით! დაწყნარდით!
ჩვენ ტყუილუბრალოდ მსხვერპლი არ გვჭირდება...

აგერ. მოვა და ის გაგასამართლებთ!

(შემოდის ჩარგაზია, მარღანია, ჯოდოლი, ხალხი და მხედრები, რომელნიც ენახეთ მეორე მოქმედებაში). ჩარგაზია. შენ ჩვენი ძმადნაფიცო

ხარ, შენ ჩვენი

სარდალი ხარ, შენ ჩვენი მსაჯული ხარ, აქამდე

აქ ვიყავ ხალხის მეთაური. შენთვის გადმომიცია

ჩემი უფლება — გაგვასამართლე!

ჯარნა — ჯოდოლი!

ჯოდოლი — იაო, იაო!

ჯარნა — აქ ვერ ვხედავ გაიოზ ბედიას!

გინდა ცოცხალი, გინდა მკვდარი, აქ გააჩინე!
(ჯოდოლი გარბის, შემორბის ასანდა).

ასანდა — ჯარნა! ჯარნა!

ჯარნა — ჩემო ასანდა!

ამიერიდან ბედნიერი ხარ.

ასანდა — აქ ვერ ვიქნებით ჩვენ ბედნიერნი.

უნდა გავშორდეთ წყეულ სასახლეს!

ახლა შევიცან შენი მიზანი!

აქ თანამგრძობი არ გეყოლება!

გავშორდეთ ჯარნა!

ჯარნა — არა, ასანდა!

ამ სასახლეში, ახლა უმეტეს დიდი საქმე მაქვს!

აბა, მისმინეთ!

დედოფალო მათა!

პატივისცემა დიდი მაქვს თქვენი...

და ნუ იფიქრებთ გვირგვინს ვინმე გეცილებოდეს.

ქვეყნის მმართველი ეწოდება იმ ადამიანს,

ვინც ღრმად შეიგნებს ცხოვრებას და ხალხის სურვილებს!

მე იმედი მაქვს ამას შეიგნებთ,

რაკი ბოროტებს, მანვე მრჩევლებს ჩამოგაშორებთ

და რომ კეთილად წარიმართოს ამქვეყნად საქმე.

თქვენ გეყოლებათ ხალხისაგან სხვა მრჩევლები!

აი, უცქირეთ (შემოჰყავთ ბედია)

გარეთ თრითინა, გულით ზღარბი, ენით მგესლავი!

მარღანია! წაუკითხე მას განაჩენი!

ქარღანია — ჩვენ სწრაფად ვიცით!

შენ ხალხს სჩაგრავდი, აწიოკებდი,

კეთილს სდევნიდი. სთესავდი შხამს და ბოროტს

ამიტომ აი, განაჩენიც!

(დამბაჩას დაახლოს)

დაიმსახურა!

გაიტათ მძორი!

(გააქვთ გვამი)

ასე! ჩვენ მოვრჩით ჩვენს საქმეს!

მტერი განადგურებულია!

ქო რ ძ ა ი ა — ხალხს და ჩარგაზიას გავუხსენ ციხის კარი!
დე დო ფ ა ლ ი — ბედნიერო და კეთილო! შენ კარგო ადამიანო!
მითხარ, რით დაგაჯილდოვო!

(შემორბის გაიოზი, შემდეგ ოტია)

გ ა ი ო ზ ი — აი, მოლალატე!
აი, ვინ, გაუხსნა კარი აჯანყებულებს.
საზიზღარო!

(ხანჯალს იშიშვლებს და კორძაიასკენ გაეჭანება,
მაგრამ დედოფალი შუაში ჩადგება).

დე დო ფ ა ლ ი — შეჩერდი! ჩამოართვით ხანჯალი: ავო! უმადურო!
ვერაგო!

შენ ხარ მოლალატე! შენ ხარ საზიზღარი!
ო ტ ი ა — დედოფალო, თავს უშველე!
მოდის აჯანყებული ხალხი...
შურს იძიებენ, თავს უშველე!

დე დო ფ ა ლ ი — (თავგანწირული) იძიონ შური!
რად გადაიქცა სიბრძნე თქვენი შურის ძიებად
და რად მოშხამეთ ტკბილი სიცოცხლე?

ო ტ ი ა — დედოფალო, მე რა ბრალში ვარ?
დე დო ფ ა ლ ი — (გაიოზს) ო, შენ უგულო ადამიანო!
სხვას რომ სამარეს უმზადებდი, რად არ ფიქრობდი
ბედის უკუღმა მოტრიალებას?
რად არ ფიქრობდი, შესაძლო იყო
იმ სამარეში თვითონ შენვე შთავარდნილიყავ

გ ა ი ო ზ ი — (სარკმლიდან)
ჩაკეტეთ გალავანი, მეციხოვნენო!

დე დო ფ ა ლ ი — არა! გახსენით გალავანი, მეციხოვნენო!
მოვიდნენ! მათი განაჩენი სამართლიანი იქნება!

(გარეთ ბრძოლა. შემოიჭრება ბასია)

ბ ა ს ა ი ა — დამშვიდდით! დაწყნარდით!
ჩვენ ტყუილუბრალოდ მსხვერპლი არ გეჭირდება...
აგერ. მოვა და ის გაგასამართლებთ!
(შემოდის ჩარგაზია, მარლანია, ჯოდოლი, ხალხი და მხედრები, რომელ
ნიც ვნასეთ მეორე მოქმედებაში). ჩარგაზია, შენ ჩვენი ძმადნაფიცო
ხარ, შენ ჩვენი
სარდალი ხარ, შენ ჩვენი მსაჯული ხარ, აქამდე
ე ვიყავ ხალხის მეთაური, შენთვის გადმომიციო

ჩემი უფლება — გაგვასამართლე!
ჯ ა რ ნ ა — ჯოდოლი!
ჯ ო დ ო ლ ი — იაო, იაო!
ჯ ა რ ნ ა — აქ ვერ ვხედავ გაიოზ ბედიას!
გინდა ცოცხალი, გინდა მკვდარი, აქ გააჩინე!
(ჯოდოლი გარბის, შემორბის ასანდა).

ა ს ა ნ დ ა — ჯარნა! ჯარნა!

ჯ ა რ ნ ა — ჩემო ასანდა!
ამიერიდან ბედნიერი ხარ.

ა ს ა ნ დ ა — აქ ვერ ვიქნებით ჩვენ ბედნიერნი.
უნდა გავშორდეთ წყევულ სასახლეს!

ახლა შევიცან შენი მიზანი!
აქ თანამგრძნობი არ გეყოლება!
გავშორდეთ ჯარნა!

ჯ ა რ ნ ა — არა, ასანდა!

ამ სასახლეში, ახლა უმეტეს დიდი საქმე მაქვს!
აბა, მისმინეთ!

დედოფალო მაია!
პატივისცემა დიდი მაქვს თქვენი...
და ნუ იფიქრებთ გვირგვინს ვინმე გეცილებოდეს.

ქვეყნის მმართველი ეწოდება იმ ადამიანს,
ვინც ღრმად შეიგნებს ცხოვრებას და ხალხის სურვილებს!
მე იმედი მაქვს ამას შეიგნებთ,
რაკი ბოროტებს, მავნე მრჩეველებს ჩამოგაშორებთ
და რომ კეთილად წარიმართოს ამქვეყნად საქმე,
თქვენ გეყოლებათ ხალხისაგან სხვა მრჩეველები!
აი, უცქირეთ (შემოჰყავთ ბედია)

გარეთ თრითინა, გულით ზღარბი, ენით მგესლავი!
მარლანია! წაუკითხე მას განაჩენი!

ქ ა რ ლ ა ნ ი ა — ჩვენ სწრაფად ვიციით!
შენ ხალხს სჩაგრავდი, აწიოკებდი,
კეთილს სდევნიდი. სთესავდი შხამს და ბოროტს
ამიტომ აი, განაჩენიც!
(დამბაჩას დაახლოს)

დაიმსახურა!
გაიტათ მძორი!

(გააქვთ გვაში)

ასე! ჩვენ მოვრჩით ჩვენს საქმეს!
მტერი განადგურებულია!

საფრთხე აღარსაიდან გველის!
ახლა ჩვენ რა დავგრჩენია?...
მივხედოთ ოჯახს!
დავუბრუნდეთ მინდვრებს და ყანებს!
სარჩო დავაგროვოთ მყულრო ცხოველებისთვის.
ასე არ არის?
მაგრამ ჩვენ რომ ოჯახებს მივაშუროთ,
აქ ვინ დავტოვოთ?..
ბედიას ხელში და მისთანა აფთრების ხელში
გზა დედოფალთან დახშული გვქონდა,
ჩვენს გაჭირვებას ვერ შევჩივლებდით.
ახლა ეს ზღუდე ჩამოვიცილეთ,
გვინდა კეთილი მსაჯულთუხუცესნი! და ამიტომაც
ხალხის სურვილით ასე გადაწყდეს:
(ყველას გადათვალეობებს)
ოტიას ჩვენთვის არაფერი დაუშავებია, ხომ მართალია?
ამიტომ დარჩეს ისევე მსაჯულად!

(ხალხი ადასტურებს)

კორძია კართუხუცესად!

(ადასტურებენ)

ჯოდოლი მეციხოვნედ!

(ადასტურებენ)

ბასაია, ბადუკა და ბათე, ოტაასთან ერთად.
თავადთა და გლეხთა მსაჯულებად!
უხუცესთა მეთაურად ჯარნა ჩარგაზია!
(ხალხი იძახის: აგვიჩივიო! აგვიჩივიო!)
ამის გარდა, რადგან ჩვენ გავიმარჯვეთ,
გემართებს ზეიმი და სიხარული.
დედოფალო, ჩვენ გვსურს ქორწინების გადახდა!
აი, ნეფე ჯარნა! და აი, პატარძალი ასანდა!
დალოცეთ ესენი!

(დედოფალი ყელიდან იხსნის ძვირფას საშკაულს და
ასანდას ყელს შეამკობს)

დედოფალი — ჩემო ასანდა და შენ ჯარნა... ხარობს ეს გული
თუმცა მან დიდი მწუხარება გამოიარა

კანგებას ვუძღვნი დიდ შაღლობას, ასე დაშთავრდა
შენს ბედს შევნატრი, ჩემო ასანდა!
მე შენთვის ცუდი არაოდეს არ მდომებია.
დღესაც, ძვირფასო, იხარებდე
ჯარნასთან ერთად!
მეც თქვენთან ერთად დაკისრებული
სამსახური შემაძლებინეთ!
იყოს მშვიდობა და ჩვენს შორის ბედნიერება!
ხალხი — იხარონ და იღვებოდნენ!
პარღანია — მათე! შენ გადასწერე ჯვარი
აბა, მამია! ბასაია! დასძახეთ საზეიმიო!

(მათე ასანდას და ჯარნას ხელობებს გადააჭლობინებს და წინ მიუძღვის
სიმღერა და დამბახის სროლა).

დასასრული

1948—1950 წ.
თბილისი